


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან
№ 1 (16127)
ფასი 2 კაპ.

1 იანვარი ოთხშაბათი 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

**ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!**

ახალი, 1975 წელი მოდის საბჭოთა ადამიანების სახლებში.

ამ საზეიმო ჟამს ჩვენ გონების თვალს ვავლებთ მიმავალი წლის ამბებსა და საქმეებს. ეს იყო კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის იდეებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ჩვენი გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის დიდი და ნაყოფიერი მუშაობის წელი. იგი ჩვენს მეხსიერებაში დარჩება როგორც კომუნისტურ მშენებლობაში ახალ-ახალი გამარჯვებების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წარმატებების წელი.

ხუთწლედის მეოთხე წელმა ჩვენ გაგვახარა დიდი მიღწევებით სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. აშენდა მრავალი ახალი ქარხანა და ფაბრიკა, საცხოვრებელი უბნები, დაბები და მთელი ქალაქები, გაყვანილია ასობით და ათასობით კილომეტრი ახალი გზები, მილსადენები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, სარწყავი არხები. მიღწეულია სამრეწველო წარმოების დიდი მატება. ახალი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მიღებულია ბამბის რეკორდული მოსავალი.

მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის 1974 წელი აღინიშნა ხელფასის, დახმარებისა და პენსიების მომატებით, საბინაო პირობების გაუმჯობესებით.

ყოველივე მიღწეული მუშების, კოლმეურნეების, მეცნიერების, სპეციალისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის — ენთუზიასტებისა და თავიანთი საქმის ოსტატების, მამაცი და შრომისმოყვარე ადამიანების ბეჯითი შრომის ნაყოფია. ჩვენს საერთო წარმატებებში თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, ყველა ერისა და ეროვნების მშრომელებმა. გულითადი მადლობა თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო!

ახალი, 1975 წელი მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელია. მოგველის დიდი შემოქმედებითი ამოცანები, რომლებიც განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც თანმიმდევრულად და განუხრელად განახორციელებენ სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცების კურსს.

ამხანაგებო! უკვე მესამე ათწლეულია საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ და შრომობენ მშვიდობიანი ცის ქვეშ. ამას უნდა ვუმადლოდეთ ლენინური პარტიის ბრძნულ საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ და თავდაცვით ძლიერებას, მსოფლიოს სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას. მომავალ წელს საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს. წმიდათაწმიდაა მისი გმირების, იმათი ხსოვნა, ვინც სიცოცხლე შესწირა სოციალიზმის მონაპოვართა დაცვას, ვინც თავდაუზოგავად იბრძოდა ფრონტზე და ზურგში ჩვენი სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირი მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებით ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას. კომუნისტური მშენებლობის საგარეო პირობები ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ ხელშემწყობი, როგორც დღეს არის. ხალხთა ურთიერთობის გაუმჯობესებაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში დიდმნიშვნელოვანი კონსტრუქციული წვლილი შეიტანეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც განუხრელად განახორციელებენ ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკას, რადგან ეს ჩვენი დიადი მიზნებისა და იდეალების წარმატებული ხორცშესხმის აუცილებელი პირობაა, შეესაბამება მთელი მშრომელი კაცობრიობის ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს.

ახალი წლის წინ გულითადად ვულოცავთ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს, კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, მოწინავე ინტელიგენციას. მივესალმებით ახალგაზრდა სახელმწიფოთა ხალხებს, ახალი დამოუკიდებელი ცხოვრების მშენებლებს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს, დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს, ვინც მშვიდობისა და პროგრესისათვის იბრძვის.

ძვირფასო ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ მოახლოებულ ახალ წელს ყველა საბჭოთა ადამიანს — მუშებსა და კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს, სახელოვან საბჭოთა ქალებს, ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას, მამაცი შეიარაღებული ძალების მეომრებს! გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს შრომაში, სწავლასა და შემოქმედებაში! დაე თვითეული ოჯახის, თვითეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრების თანამგზავრი იყოს სიხარული და ბედნიერება!

ამ ახალ წელს, დღეგრძელობას ვუსურვებთ დიდ საბჭოთა ხალხს, ჩვენს ლენინურ პარტიას, საყვარელი სამშობლოს აყვავებას, ქვეყნად მტკიცე მშვიდობას!

გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ბედნიერებას, ძვირფასო ამხანაგებო!

| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |
|---|---|---|

## კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსს

## კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ოსვალდო დორტიკოს ტორადოს

**ძვირფასო ამხანაგებო!**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა ხალხი თქვენ, კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კუბის რესპუბლიკის რევოლუციურ მთავრობას, მთელ მოძმე კუბელ ხალხს გულითადად გილოცავენ ეროვნულ დღესასწაულს — კუბის რევოლუციის მე-16 წლისთავს.

რევოლუციის გამარჯვებით ახალი ეტაპი დაიწყო კუბის ისტორიაში. აქტიური ბრძოლისა და დაძაბული შემოქმედებითი შრომის განვლილი თექვსმეტი წლის მანძილზე კუბელმა ხალხმა კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელობით განახორციელა ღრმა, ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები, მიაღწია დიდ წარმატებებს ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში, სოციალისტური წყობილების განმტკიცებასა და დაცვაში.

საბჭოთა ადამიანებს ახარებთ მოძმე კუბელი ხალხის მიღწევები, რომელიც შეკავშირებულია კომუნისტური პარტიის გარშემო სოციალისტური საზოგადოების აშენების დიადი მიზნის განხორციელებისათვის. რევოლუციის გამარჯვების ახალ წლისთავს კუბელი კომუნისტები, ყველა მშრომელნი, რომლებიც ემზადებიან თავიანთი კომუნისტური პარტიის ყრილობისათვის, აღნიშნავენ სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანების, შრომითი აღმავლობის პარტიისა და ხალხის მტკიცე მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ვითარებაში.

დღეს კუბის რესპუბლიკა სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა შეკავშირებული ოჯახის ღირსეული წევრია. იგი აქტიურად მონაწილეობს იმ საგარეოპოლიტიკური კურსის განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიან თანაარსებობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებას, მსოფლიო ასპარეზზე დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას. სოციალისტური კუბის წვლილი მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში საყოველთაოდ აღიარებულია. კუბის საგარეო პოლიტიკის ქმედითობის დამაჯერებელი მაგალითია ბლოკადის იმპერიალისტური პოლიტიკის სრული დამარცხება.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩვენი ქვეყნების ძმურ მეგობრობასა და მჭიდრო თანამშრომლობას, რომლებსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირისა და კუბის მოქმედების ერთიანობას მსოფლიო ასპარეზზე. განვლილი წელი, რომელიც აღინიშნა ჰავანაში ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა მეგობრული შეხვედრით, მეტად ნაყოფიერი იყო და ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას.

თქვენთან ერთად, ძვირფასო მეგობრებო, აღვნიშნავთ კუბის რევოლუციის 16 წლისთავს, ამ ჩვენს საერთო ინტერნაციონალურ დღესასწაულს. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან კუბის მუშათა კლასს, გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, რევოლუციური ბრძოლის მონაწილეებს, და უსურვებენ მათ ახალ წარმატებებს სოციალისტური კუბის მშენებლობაში.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

| ლ. ბრეჟნევი | ნ. პოდგორნი | ა. კოსიგინი |
|---|---|---|

## ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

**ძვირფასო ამხანაგებო!**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურად მიესალმება და ახალ წელს ყოველივე საუკეთესოს უსურვებს ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ყველა ჩილელ კომუნისტს, რომლებიც იბრძვიან სამხედრო-ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ. ჩილეს კომუნისტური პარტია ახალ, 1975 წელს და თავისი შექმნის 53 წლისთავს ეგებება ღრმა იატაკქვეშეთში, დევნისა და ტერორის ვითარებაში, რომელიც ხუნტამ თავს დაატეხა თავისუფლებისმოყვარე ჩილელ ხალხს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი საბრძოლო სოლიდარობას უცხადებს დიქტატურის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩილეს კომუნისტების, ყველა პატრიოტისა და დემოკრატის ბრძოლას.

დაე ახალმა წელმა წარმატებები მოუტანოს ჩილელ ხალხს სამართლიან და მამაცურ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

## ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლუის კორვალანს

**ძვირფასო ამხანაგო კორვალან!**

ახალ წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით, რომლებიც დიდი სიმპათიით ადევნებენ თვალს ჩილელ კომუნისტთა მამაცურ ბრძოლას ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ და აღფრთოვანებული არიან თქვენი მამაცობით, რომელსაც იჩენთ ჩილელი ხალხის ჯალათების საპყრობილეში, გიცხადებთ ძმურ სოლიდარობასა და მეგობრულ მხარდაჭერას და გისურვებთ რაც შეიძლება მალე განთავისუფლებას და ჯანმრთელობას.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად მუდამ ვიქნებით ჩილეს დემოკრატიული, ანტიფაშისტური ძალების მხარეზე.

გულითადად ვულოცავ ახალ წელს აგრეთვე თქვენს მეუღლესა და ყველა მახლობელს.

ძმურად მოგესალმებით

ლ. ი. ბრეჟნევი




საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის თენგიზ სამსონაძის ნახატი.

შოთა ნიშნიანიძე

## ამირანის წელიწადი

სალამი წელო ახალო, ძველი წავიდა... გაფრინდა...
— ამირან დარეჯანის-ძევ, საიდან მოხვალ?
— ზღაპრიდან!
— მშვიდობა შენს მობრძანებას, მოხვალ
ვარსკვლავთა ამალით,
აქა ვართ შენი მოყვრები: ბადრი, უსუპი, ყამარი,

შეეგებება შენს მოსვლას გამზრდელი მამულ-დედული,
აგედევნება ეს ლექსიც ყურშა ძაღლივით ერთგული.
შენ გაიზრდები დღითიდღე, დარიც დარს დაედარება,
ისეთი ბიჭი დადგები, მიწას უმძიმდეს ტარება.

ცოტა კაცი ხარ ამირან,
ცოტა სმა-ჭამა გეყოფა?
ვენახებს დადგამ გორებად, სარჩოს და ხორაგს
ბექობად.

დახნავ, დაბარავ, დათესავ, ათას სატკივარს მოარჩენ,
ავი სულების ლახვარო, ალალი ლუკმის მოსარჩლევ.
აკეთე, ფეხბედნიერო, საქმენი მამა-პაპური,
რახან ზღაპრიდან მოსულხარ, მაშ ყოფილიყო
ზღაპრული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა რაფი რაზას

**30 დეკემბერს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო პაკისტანის წარმოების, მრეწველობისა და საქალაქო დაგეგმვის მინისტრი რაფი რაზა, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

რაფი რაზამ ა. ნ. კოსიგინს სიტყვიერად გადასცა პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ზ. ბჰუტოს მისალმება. საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და პაკისტანის თანამშრომლობის ზოგიერთ საკითხზე.

საუბარში, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ პაკისტანის მოსკოველი ელჩი ს. ჰ. დეჰლავი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. ალიხანოვი. (საკდესი).

# სადილი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საელჩოში

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში მუჰამედ ჰაფეზ ისმაილმა 30 დეკემბერს სადილი გამართა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ისმაილ ფაჰმისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მუჰამედ აბდელ განი ალგამასის პატივსაცემად

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სხვა ოფიციალური პირები.

ეგვიპტის მხრივ სადილზე იყვნენ მინისტრების თანმხლები პირები.

სადილის დროს მ. ა. გ. გამასიმ და ა. ა. გრეჩკომ მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს. (საკდესი).

# საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ერთობლივი განცხადება

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მოწვევით ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ფაჰმისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მ. ა. გ. გამასის მოსკოვში ვიზიტის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ორმხრივი ურთიერთობისა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, კერძოდ ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლების საკითხს.

საბჭოთა კავშირი და ეგვიპტე მტკიცედ მოითხოვენ, რომ ჟენევის კონფერენციამ უახლოეს დროში განაახლოს მუშაობა ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის, როგორც პალესტინის არაბი ხალხის წარმომადგენლის, მონაწილეობით, და ყოველ ღონეს ხმარენ ამ მიმართულებით.

მხარეებს მიაჩნიათ, რომ კონფერენცია შესაფერი ფორუმია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების ყველა ასპექტის განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელთა მიზანია სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება ამ რაიონში. ისინი ერთსულოვანი არიან იმ საკითხში, რომ კონფერენციის მუშაობის უსწრაფესად განახლებას დიდი დადებითი მნიშვნელობა ექნება ამ მიზნების მიღწევისათვის.

მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა ორი სახელმწიფოსა და ხალხის მტკიცე მეგობრობის დამახასიათებელ ატმოსფეროში, დადებითი შედეგებით დამთავრდა.

# მთავრობის ჯილდოების გადაცემა

ახალი წლის წინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მეცნიერთა, მწერალთა, ჟურნალისტთა, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკთა, გამომცემლობებისა და სტამბის მუშაკთა ჯგუფს საზეიმო ვითარებაში გადასცეს მთავრობის ჯილდოები, სიგელები საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კეჭაძემ წაიკითხა ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ დაჯილდოებულთ გადასცა შრომის წითელი დროშის ორდენი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, სიგელები საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა და კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ამხ. გ. ძოწენიძემ ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი გადასცა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ი. სუხიშვილს. ეს ჯილდო ანსამბლს მიენიჭა ბელორუსიის მშრომელთა შორის საბჭოთა ხელოვნების მიღწევების პროპაგანდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების ფესტივალში „ბელორუსულ მუსიკალურ შემოდგომაში“ წარმატებით მონაწილეობასთან დაკავშირებით.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი პოეტი ხ. ბერულავა, თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი ა. მაკარიძე, ჟურნალ „მნათობის“ განყოფილების გამგე ნ. რუხაძე, ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი პოეტი რ. მარგიანი. მათ მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

ამხ. გ. ძოწენიძემ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ მომავალი ახალი წელი, უსურვა მათ ჯანმრთელობა, წარმატებანი პირად ცხოვრებასა და მუშაობაში. (საქინფორმი).

# დაჯილდოება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით სამხედრო-საზღვაო ფლოტში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, გადამდგარი კონტრ-ადმირალი მიხეილ ზაქარიას-ძე ჯინჯარაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**თბილისის** სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმა და ნაკისრი ვალდებულებები. მომხმარებელს მარტო თერთმეტ თვეში გეგმის გადამეტებით მიაწოდა 55 ტონა ნართი, 271 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი. ამ საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით წარმოების ნოვატორებს, რომლებიც კარგახანია 1975 წლის ანგარიშში შრომობენ. მათ შორის არის მქსოველთა ბრიგადა, რომელსაც ჯ. მიგინეიშვილი ხელმძღვანელობს.

**სურათზე:** მქსელავი რ. აზნარაშვილი (მარცხნივ) და ბრიგადირი ჯ. მიგინეიშვილი.

გ. გოგოხიას ფოტო.

# შენი მრავალჟამიერი

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

ქართვლის მიწავ, ჟამი ჩემი
იყოს მართლა წამიერი,
შენი სადღეგრძელო იყოს,
შენი მრავალჟამიერი.
გარდა შენი სამოთხისა
სხვა სამოთხეს არ მიველი..
შენი სადღეგრძელო იყოს,
შენი მრავალჟამიერი.
მზეი თუა, მზეი იყოს,
თოვლი მოგვეც ხვავრიელი,
შენი სადღეგრძელო იყოს,
შენი მრავალჟამიერი,
გული მიეც, გამიმხნევე,
პოეტი და არმიელი,
შენი სადღეგრძელო იყოს,
შენი მრავალჟამიერი.

მოძმეთ ხელი გამიწოდე,
რუსთველის და ტარიელის,
შენი სადღეგრძელო იყოს,
შენი მრავალჟამიერი.
ცას მტრედები შევაფრინოთ,
გახსენ კარი გალიების,
შენი სადღეგრძელო იყოს,
შენი მრავალჟამიერი.
ხან ღვინით და ხან სიმღერით,
ხან გვირილით, ხან იელით,
შენი სადღეგრძელო იყოს,
შენი მრავალჟამიერი.
ჰო, მამულო მხოლოდ ერთი
უწყი, ვის რა გზა მიელის,
შენი სადღეგრძელო იყოს,
შენი მრავალჟამიერი.

# რწმენითა და იმედით

**გრიგოლ აბაშიძე**

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი

**ჩვენი** ხალხის ჭირისა და ლხინის მემატიანე ქართული მწერლობა იმ ფეხბედნიერ მეკვლეთა შორის არის, ვინც დღეს გამარჯვებით ხელდამშვენებული ულოცავს სამშობლოს ახალ წელს.

ახალი წელი მუდამ ახალი იმედების მომტანია და უკანასკნელ წლებში მიღწეული წარმატებანი ამ იმედებს კიდევ უფრო გაგვიმტკიცებს.

ქართველი მეჩაიეების, მევენახეებისა და მეციტრუსეების სახელოვანი საქმეები, ჩვენი მრეწველობისა და მშენებლების გამარჯვებები ერთხელ კიდევ არწმუნებს ქართველი ხალხის მრავალრიცხოვან მეგობრებს იმაში, რომ ჩვენი რესპუბლიკა კვლავ იბრუნებს თავის ღირსეულ ადგილს საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა შორის.

ორი ათეული წლის მოდუნებასა და პატიოსან ადამიანთა ღირსების დამამცირებელყოფას ცვლის შემოქმედებითი შრომის არნახული გაქანება, სამართლიანობისა და კანონიერების თავიანთ უფლებებში აღდგენა და ცხოვრების ყველა უბანზე ნაყოფიერი მუშაობისათვის წამახალისებელი ატმოსფეროს დამკვიდრება.

ქართველი მწერლობა ამ კეთილისმყოფელი ატმოსფეროთ ცოცხლობს და სუნთქავს დღეს და ხალხისა და პარტიის განსაკუთრებული ყურადღებით გამხნევებული ქმნის ახალ ნაწარმოებებს.

ჩვენი შთაგონების უმთავრესი თემა ხარაჩოებზე მდგარი ადამიანების საგმირო საქმეებია და ქართული მწერლობა გულწრფელად მონდომებულია თავისი საუკეთესო ქმნილებებით უკვდავყოს ამ ადამიანთა შრომა და შემართება.

საქართველოსადმი ინტერესი დღეს მთელ ჩვენს დიდ სამშობლოში არაჩვეულებრივად დიდია. არაჩვეულებრივად დიდია ინტერესი ქართული მწერლობისა და ხელოვნებისადმი, და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ხალხის ნიჭიერების რეპუტაცია, ქართული მწერლობისა და ხელოვნების ავტორიტეტი.

ამას ჩვენ შევძლებთ თანამედროვეობის უმაღლესი დონისაკენ შეუნელებელი სწრაფვით, ოსტატობის ამაღლებისათვის მოუწყინარი ბრძოლითა და ცხოვრების შუაგულში ტრიალით.

თავისი ეს მაღალი ამოცანა და საპატიო მოვალეობა კარგად აქვს შეგნებული ქართულ მწერლობას და ჩვენ გვწამს, რომ იგი ბოლომდე გაამართლებს ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას თავისი ფიქრითა და შთაგონებით, ახალი მნიშვნელოვანი წიგნებით განადიდებს სამშობლოსა და მშობლიურ პარტიას.

დე ახალი, 1975 წელი იყოს ამ იმედის გამართლება!

# კოსმოსის გმირი გვილოცავს

გულითადად ვულოცავ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს, სულითა და გულით ვუსურვებ ბედნიერებასა და აყვავებას ქართველ ხალხს, ახალ დიდ მიღწევებს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

**ნ. ნ. რუკავიშნიკოვი,**

სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი.

## ხელმარჯვენი და გამრჯენი



# მზის მეტოქეები

**გიორგი გულია**

**ძვირფასო** მკითხველო, როცა „კომუნისტში“ ამ წერილის კითხვას შეუდგები — მხედველობაში მაქვს ახალი წლის პირველი დღე, მე კიდევ ერთხელ აუცილებლად მივიხედავ უკან და ვავიძსენებ, თუ რა მოხდა წარსულ წელს. თუნდაც იმიტომ, რომ აი ახლა, ახალი წლის წინადღით ვზივარ მოსკოვში და ამ სტრიქონებს ვწერ.

როცა ვამბობ, „თუ რა მოხდა წლის განმავლობაში“, ვგულისხმობ წმინდად პირადულს. მე შემეძლო ასეც მეთქვა: „რა მოხდა ჩემთვის გასულ წელიწადში“. ეს უფრო ზუსტი იქნება. იმიტომ, რომ ქვეყანა დიდია, ძალიან დიდი, მრავალფეროვანი, მსოფლიოში მრავალი რამ ხდება სასიხარულოც და საწყენიც და ამიტომ ძნელია წერო ყველაფერზე ერთად, გლობალურად, თანაც პატარა წერილში.

ყველაზე ნათელი შთაბეჭდილებანი და ყველაზე მძაფრი მღელვარება დამრჩა იმ ზეიმიდან, რომელიც რიგრიგობით გაიმართა ჯერ თბილისში, შემდეგ — სოხუმში და ცოტა უფრო გვიან — მოსკოვში. მე მხედველობაში მაქვს აფხაზეთის კულტურის დღეები, რომელიც დაკავშირებული იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან.

წარმტაცი იყო თბილისი სექტემბრის შუა რიცხვებში. კაშკაშა მზე, რომელიც აგრერიგად ამშვენებს ამ ქალაქს, სტუმართმოყვარულად ბრდღვიალებდა მოლურჯო-მომწვანო ცაზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ იმჟამად მზეს მიწაზე მეტოქეები ჰყავდა: ესენი იყვნენ ჩემი მეგობრები — ლიტერატორები, მხატვრები, მეცნიერები, მსახიობები, ე. ი. ჩემი გულითადი, ძვირფასი მახლობლები — თბილისელები. მათ შორის იყვნენ ისინიც, ვისაც უკვე კარგა ორმოცი წელია ვიცნობ და ისინიც, ვინც ერთი წლის წინათ, ან უფრო აქეთ გავიცანი. მაგრამ ასაკთა ეს გამა მხოლოდ აძლიერებდა ღრმა მეგობრობისა და ძმობის განცდას, რომელიც სუფევდა იმჟამად თბილისში.

როცა ადამიანს სურს გამოხატოს თავისი განსაკუთრებული გრძნობა, ღრმა განცდა და კმაყოფილება, იგი ამბობს მხოლოდ ერთ სიტყვას: „დაუვიწყარია“. თამამად შემიძლია ვთქვა: ის თბილისური დღეები მართლაც რომ დაუვიწყარი იყო. განა შეიძლება რაიმე გამოჰყო დაუვიწყარიდან? ალბათ ეს ძალიან ძნელია. რუსთაველის სახელობის თეატრში მოწყობილი საღამო? თუ თბილისელებთან დასკვნითი შეხვედრა ფილარმონიის დარბაზში? თუ მეგობრული შეხვედრა სამხატვრო აკადემიაში, რომელშიც ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ?

იმ დღეებში ყველაფერი ეს გაერთიანდა თბილისში, ყველაფერი ხდებოდა თითქოს ერთი, ღრმა ამოსუნთქვით. და ეს ხდებოდა იმ ქალაქში, სადაც 1912 და 1913 წლებში გამოიცა დიმიტრი გულიას ლექსების პირველი კრებულები, სადაც ცხოვრობდა მისი ოჯახი 1924-26 წლებში ვერის ბაზრის მახლობლად, სადაც მე თითქმის ხუთი წელი ვსწავლობდი რკინიგზის ინსტიტუტში 1930-3[illegible] წლებში.

აფხაზეთის კულტურის დღეებში თბილისელებმა ენით უთქმელი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს, ხოლო აფხაზებმა, როგორც შეეძლოთ მადლობა უთხრეს მათ თავიანთი ხელოვნებით, ის დღეები ჩემთვის აღსავსე იყო სიმბოლიკით, ისინი, იქცნენ ყველა ხალხის — საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის — ძმობისა და წარმატებების გამოხატულებად, ჩვენი პარტიის პოლიტიკის გამოხატულებად, რომელიც მიმართულია ყველა ხალხის საკეთილდღეოდ და მათ შორის მეგობრობის განსამტკიცებლად.

შემდეგ ამ ზეიმმა აფხაზეთში გადაინაცვლა. აქ ჩამოვიდნენ მრავალი რესპუბლიკის წარმომადგენლები. და რა თქმა უნდა, მე კვლავ შევხვდი თბილისის წარმოგზავნილებს. ეს უკვე სექტემბრის მიწურულს მოხდა და ჭეშმარიტად მთელი აფხაზეთის მიწაზე სახალხო ზეიმების გვირგვინად იქცა. მე მაშინ ვუთხარი ჩემს თავს: სად, რომელ ქვეყანაში, რომელ დროს შეიძლებოდა მომხდარიყო მსგავსი რამ? სიხარულის გრძნობათა ჩანჩქერი შენივთდა მძლავრ შემოქმედებით აღმაფრენად. აფხაზეთის მწერლები, მსახიობები, მხატვრები, მეცნიერები სტუმრებს უჩვენებდნენ თავიანთ მიღწევებს. ეს იყო საბჭოთა აფხაზეთის მიღწევები, ყველას წარმატება, ვინც აქ სახლობს.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ აფხაზეთის კულტურის დღეები გაგრძელდა და დიდებულად დასრულდა მოსკოვში, ჩვენს დიად დედაქალაქში. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში ისმოდა აფხაზური ლექსი და სიმღერა, დარბაზი ტაშით აჯილდოვებდა აფხაზურ ცეკვას. ჩვენ ზეიმს ვდღესასწაულობდით ქართველ და რუს მეგობრებთან ერთად. მეტი რა უნდა კაცის სულსა და გულს!

და აი გავაცილეთ 1974 წელი.

მე კმაყოფილი ვარ წარსული წლით. ახლა საბჭოთა ადამიანებისა იკითხეთ? განა მათ საფუძველი არა აქვთ უხაროდეთ ჩვენი საერთო წარმატებები, საერთო მიღწევები? თუ მე მოკლედ გიამბეთ ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ამბავზე გასულ წელიწადში, ასევე მილიონობით ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის სულ სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ, შეუძლიათ იგი გააკეთონ და გიამბონ რაიმე კიდევ უფრო მნიშვნელოვან და დიდებულ ამბავზე. ეს ასეც უნდა იყოს: თუ არ იქნა საერთო სიხარული, საერთო ბედნიერება, არც არის და შეუძლებელიც არის გვქონდეს მხოლოდ საკუთარი, მხოლოდ პატარა სიხარული!

მე ისევ — ახლა უკვე ფიქრით — ვბრუნდები თბილისში. მესმის საახალწლო სასმისების წკრიალი! რამდენჯერ ამიწევია სასმისი ამ მშვენიერ ქალაქში? რამდენჯერ მომისმენია კეთილი სურვილები და რამდენი ტკბილი სიტყვა მითქვამს მეგობრებისათვის? ვინ მოთვლის!

— ჯანმრთელად, კარგად, უკეთესი წარმატებებით შევხვედროდეთ 2000 წელს ერთმანეთს და ვილაპარაკოს საერთო გეგმებზე მომავალი საუკუნისათვის!

ქ. მოსკოვი.

# შენ მოგმართავ, ახალო წელო!

**ნოდარ დუმბაძე**

**მე** ყოველთვის მიჭირდა ჩემს ხალხთან საუბარი. ესეც რომ არ იყოს, ცუდია, როდესაც მწერალი ხალხს ენას შეაჩვევს. მწერალს ხათრი, რიდი, მოკრძალება და, თუ გნებავთ, შიშიც კი უნდა ჰქონდეს ხალხისა, ისე როგორც შვილს თავისი მშობლისა. მაგრამ დღეს ლოცვის დღეა, მოფერების დღეა, ნატვრის დღეა, და ჩემი ძვირფასი მშობელი მაპატიებს ხმამაღალ სიტყვას, რადგან შენ მოგმართავ, ახალო წელო!

გასული წელი და იმის წინა წელიც ხავსმოდებულ საჯილდაო ქვასავით მძიმე იყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა მხარი შეუდგა და მაინც ააგორა.

ჯანი მიეც და არასდროს არ დააგდებინო ის საჯილდაო ქვა, ახალო წელო!

სხვაზე რა გითხრა, ქართველ მწერლობაზე მოგახსენებ: რომ დაუძახა დედა-სამშობლომ, როგორც ყოველთვის, ადგა და უმალ მხარში ამოუდგა. ძნელია ხალხის გულის მოგება და ერის მოსაწონი სიტყვის თქმა, მაინც თქვა და დაწერა. დაღლილს ხელი შეაშველა, მწუხარე ანუგეშა და მშობლის მაღალი, მართალი სიტყვა მიიტანა შვილის გულამდე, ხოლო ლაფდასხმულსა და ზნედაცემულს, მამულის სახელისა და სიწმინდის შემლანძღველთა „ჩადრი“ ახადა.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდხანს იყო გაფურჩქნული საზიანო ფორმულა — რესპუბლიკის გარეთ ყველას დასანახად ნუ გავიტანთ ჩვენს ნაგავს, თორემ ავტორიტეტი და ღირსება შეგვილახებაო. მადლობა ღმერთს, ამ ტენდენციას ყავლი გაუვიდა, რადგან ავადმყოფი, რომელიც ექიმს თავის სენს უმალავს, კვდება. სიამაყის გრძნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართველი მწერლები ყოველთვის არდამალვის პოზიციაზე იდგნენ და ამ წმიდა საქმეში ჩვენი პარტიის უახლოეს თანაშემწეებად რჩებიან.

დღეს საქართველოში დგას ჟამი დიდი აღმავლობისა, ამის ცხადი დადასტურებაა ყველა თაობის მწერალთა, რესპუბლიკის მშრომელთა არნახული აქტივობა. რესპუბლიკამ ბოლო წლების მანძილზე პირველად შეასრულა გადაჭარბებით სახელმწიფო დავალებები სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ქვეყანა დოვლათით — პურით, ღვინით, ხილით, ხორცით, რძით, კარაქით, თაფლითა და ბადაგით აივსო. კიდევ მეტს გვპირდებიან მშრომელები და კიდევ მეტს ელის ქვეყანა.

შენ მოუმართე ხელი, ახალო წელო!

დიდი მოლოდინის ჟამი გვიდგას ქართველ მწერლებს, ხალხი ჩვენგან ჩვენი ეპოქის ამსახველ და მის საკადრის ახალ წიგნებს, რომანებს, პიესებს, ლექსებსა და პოემებს ელის.

რადგან უმადურობა ყველაზე საძრახისი სენია ადამიანთა, ამიტომ უნდა ითქვას: ბევრი ჯილდო და საჩუქარი მიიღო ქართულმა მწერლობამ გასულ წელს მთავრობისაგან: სახლი თუ კარი, ჟურნალი თუ ალმანახი, ქუთაისსა და ბათუმში, აფხაზეთსა თუ ოსეთში. სიტყვა კეთილი, ნდობა და მხარდაჭერა სრული.

კვლავაც არ მოგვიშალო ეს ნდობა და მხარდაჭერა, ახალო წელო!

დიდი იმედის გრძნობით ადევნებდა თვალყურს მთელი მსოფლიო ჩვენს პლანეტაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სამშვიდობო მისიით მოგზაურობას. მთელ მსოფლიოს სწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ეს ქმედითი ღონისძიებანი ამაოდ არ ჩაივლის და კაცობრიობა ბოლოს და ბოლოს მოიპოვებს სანუკვარ მშვიდობას.

დაე შენ ყოფილიყო ამ მშვიდობის მახარობელი, ახალო წელო!

დღეს შენ დაივლი ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეს: მთასა და ბარს, ტყესა და ველს, ბაღსა და ბაღჩას. შეხვალ ყველა ქართველის ოჯახში და სადაც შეხვალ, ჭერი მაღლა ასწიე, ახალო წელო!

ბეღელს მიადგები — ხვავით აავსე, ახალო წელო!

მარანში შეხვალ — ბადაგად იდუღე, ახალო წელო!

მარცვალს სძინავს თოვლის საბნის ქვეშ — სასთუმალი გაუთბე და ერთი ათასად აღმოაცენე, ახალო წელო!

მუშა შეგხვდება — მკლავი დაულოცე, გლეხი შეგხვდება — ვაზი დაულოცე, ნარინჯ-თურინჯი დაულოცე.

ქართველი ქალი შეხვდება, საქმრო დაულოცე, შვილი დაულოცე, აკვანი დაულოცე.

აი, პატარა გოგონა დგას პატარძალივით გაწყობილ ნაძვისხესთან და ნატვრის თვალით შესცქერის, — ნატვრა აუსრულე.

სამშობიარო სახლთან ვაჟი დგას და ტყუპ ბიჭს ელოდება—არ გააწბილო, ახალო წელო!

ავადმყოფი შეჰყავთ საავადმყოფოში და პირისუფალი იმედით უცქერს ექიმს, — იმედი არ მოუშალო, ახალო წელო!

ეს ჩემი გოგონაა, ტკბილად რომ სძინავს და ძილში რომ ეღიმება, — ყველა სიზმარი კარგად აუხდინე და მშვიდობიანი დილა გაუთენე, ახალო წელო!

თბილისის მემილიონე მოქალაქე დამილოცე. ჩემი ქართველი ხალხი, გამრჯე ხალხი, ჭკვიანი ხალხი, კეთილი ხალხი დამილოცე და მობრძანდი.

კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს განახლებულ ოჯახში!

# განცდა

**ვლადიმერ გელაშვილი**

**სამოცდათხუთმეტი** დიდებულ საბრძანებელზე, საფუძველზე მოვიდა. შარშანდელმა წელმა მოსწრო თავი შეეყვარებინა ჩვენთვის. დიდ სიახლეთა წელიწადი იყო. ძმურ მწყობრში საქართველოც უჩქარებდა ნაბიჯს.

ატმოსფერო გაუმჯობესდა. უფრო შვებით ვსუნთქავდით. ბაზრიდან დაბრუნებული დიასახლისის სახეზე ღიმილმა იმატა. ძირეულ გაჯანსაღებაში მთელი ხალხი მონაწილეობდა.

სამოცდათოთხმეტმა მოგვცა მეტი ფოლადი და სურსათი. რაც მთავარია, გაზარდა ჩვენი რევოლუციური რწმენა.

სამოცდათოთხმეტი — თავმდაბალ მშრომელ რაინდად მოჩანს წელთა მწყობრში. მან იცოდა, რასაც აკეთებდა! მან გაახარა ჩვენი გული. მაგიდა სავსე დაგვიტოვა, ვაჟკაცურად ჩამოართვა მართალი ხელი სამოცდათხუთმეტს.

და აი დღეიდან ჩვენ ახალ ნაცნობობას ვიწყებთ. ამიტომ ვღელავთ. მოპოვებულთან შეჩვეული ვართ. ხოლო სიახლეებთან შეჭიდებას შეუძრავს ჩვენი სული. საეჭვო არაფერია! უბრალოდ სიახლე და მღელვარება, ყოველთვის ერთად არიან, უამისოდ არ შეიძლება.

არ შეიძლება დიდს მდორედ შეეჭიდო. საჭიროა ყველა ნერვის, ყველა კუნთის მობილიზება, თავიდანვე შეუმცდარი მწყობრით სვლა.

დიდი ამოცანა იტვირთა სამოცდათხუთმეტმა. შენების მხრივ იგი შეუდარებელია. წარსულში ტოლი არა ჰყავს.

ახალ მრავალსართულიან სახლებს მიადგებიან ბედნიერი ახალმოსახლენი... ახალი ბრძმედებიდან დაიძრება ფოლადის ნაკადი... კონვეიერიდან უფრო მეტი მანქანები ჩამოვა... ტაიგაში შორს შეიჭრება რკინიგზის ახალი მაგისტრალები... ახალი მოსავლის კალთას დაიბერტყავენ მინდვრები... სიახლე... ახალი... ხალხი ქმნის ხალხისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მშობლიური პარტიისა და მთავრობის ცნობილ დადგენილებას დღეს აუცილებლად ეხება ჩვენი ფიქრი, და არა მარტო ფიქრი, მთელი მგრძნობიარობით ეხება გული და ხელი.

ეს სწორუპოვარი დოკუმენტია. მის დიდებულ ფონზე ვხედავთ ახალ გიგანტებს, ახალ გზებს. სამშობლოს რომ ქარგავენ,... ვხედავთ... ძალიან ბევრ საამაყოსა და სასიხარულოს ვხედავთ.

ეს დოკუმენტი მხოლოდ ერთი წლის საზრდო როდია. იგი შორს მიდის, შორს წვდება.

როგორ ალორძინდება და მოიხატება საქართველო, როგორ იმატებს მისი წვლილი დიდ საძმო საქმეში!

ადამიანის ბუნება რთულია. ცნობილია ჩვენი ერთგულება ძვირფასი, ჯანსაღი ტრადიციებისადმი. ჩვენ გვინდა მეტი გვქონდეს ფოლადი, არ ვეშვებით ვარდებზე ოცნებასაც.

გვინდა ხშირად ვხედავდეთ გვერდიგვერდ ასფალტსა და ყვავილნარს. გვინდა გვესმოდეს, ცხელი საამქროს სუნთქვას როგორ აგრძელებს მწვანე ხეივნის შრიალი.

ადამიანი ესწრაფვის სილამაზეს. მეფოლადე, რომელიც მარტენის საამქროში მთელი დღე ოფლს ღვრიდა, საღამოთი მშვენიერ პარკშია და თავის პატარასთან ერთად ყვავილებს ეფერება.

ასეა ადამიანი. იგი მრისხანეც არის და ფაქიზიც. გიგანტური შრომაც ეხერხება და მგრძნობიარე სიტყვაზე გული უჩვილდება და თვალებში ცრემლი ერევა.

მას ყველაფერი აინტერესებს ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

ამიტომ არის იგი ერთგვარად აფორიაქებულიც კი საახალწლოდ. მთავარი მოვლენა — ახალი წელი თავის მხრივ უამრავ და მრავალფეროვან მოვლენებს შეიცავს. რამდენ რამეს უნდა შევეხოთ! რამდენი რამე უნდა განვიცადოთ! ბევრიც საკუთარი ხელით გავაკეთოთ.

წლევანდელი წელი აღნიშნავს გერმანიის ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვების ოცდაათი წლისთავს. ომში ჭაბუკები შევედით და უკვე გავჭაღარავდით. ოცდაათი წელი დიდი დროა ადამიანის ცხოვრებაში. ეს ძნელი მანძილი ისე განვვლეთ, როგორც გმირთა ხსოვნას ეკადრება.

წლები უძლური არიან, რომ გმირთა სახელს დაგვშორონ. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო გვხვდებით. რა მტკივნეული ჭრილობა გვქონდა, მით უფრო ძვირფასი ხდება სამშობლოს მიერ გაღებული მსხვერპლი.

მსხვერპლიც არის და მსხვერპლიც, ჰაი დედასა, რა ვაჟკაცები! ასეთი დანაკარგის ანაზღაურება არ შეიძლება. მილიონები წვანან საძმო საფლავში, მილიონები! იქ არის ჩვენი მამა და ძმა, ბიძა, ძალიან მახლობელი. მშობლიური მიწა და თვით ჩვენი პლანეტა მით უფრო ძვირფასი გახდა. ჩაფიქრებული გახდა.

ასეთი რამის განმეორება აღარ შეიძლება!

ამას განსაკუთრებით ხაზგასმით ამბობს წლევანდელი საიუბილეო! ამბობს და იცავს კიდეც. ეს ჩვენი მთავარი ფიცია, უპირველესი ფიცი.

მსჯელობენ. ადღეგრძელებენ. მამულს თავს ევლება მილიონთა ფიქრი, ხოლო ხვალიდან უშუალოდ საქმეს შეეხება ხელი. დიდ საქმეს! მნიშვნელოვანია ყველაფერი, რაც ადამიანის სიკეთისათვის იქმნება! ყველაფერს მიხედვა უნდა, ყველაფერს განცდა, უძვირფასესი გრძნობაა განცდის გრძნობა.

ამიტომ ადღეგრძელებს ახალი წელი ალალ შრომას, ალალ მარჯვენას და შემართებას!

# სანდრო შანშიაშვილი

## ჩემს ოცნებას გაუსწრო

არა, აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა.
აკაკი.

მოგილოცავთ ახალ წელს
დათოვლილი ჭაღარით.
ეხლა შემერგებოდა
თქვენთან ლხენა ნაღარით!

ეხლა შემერგებოდა
მეგობრებთან თამაში.
ხედავ, ყველა ზეიმობს,
მოკაზმული მარმაშით.

მთაწმინდიდან გახედე,
მტკვარი დამშვიდებულა!
პროსპექტები, ქუჩები,
მწყობრად აშენებულა.
ვერ მიცვნია თბილისი,
ისე დამშვენებულა!

გუგუნებენ ქარხნები,
ქარხნებს ეჯიბრებიან,
ჩამორჩენილს გეგმებში
ძმურად ეხმარებიან!

ჩემს ოცნებას გაუსწრო
სოფლის აღორძინებამ,
ზღვა მარაგი ბეღლებში
გულსაც მოელხინება!

სრულს სიმშვიდეს
მივაღწევთ,
მაშ რა დარდი გამყვება?
მოგილოცავთ, სამშობლო
შრომით აგვიყვავდება!

31 დეკემბერი, 1974 წ.

# კოტე მარჯანიშვილის პრემიის მოსაპოვებლად

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მინიჭების მუდმივი კომიტეტი იუწყება, რომ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებული არიან შემდეგი კანდიდატურები:

1. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი — „რაიკომის მდივანი“.

წარადგინეს გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციისა და ქალაქის კულტურის მუშაკთა საერთო კრებებმა.

2. გუგუშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული მონოგრაფიისათვის „კოტე მარჯანიშვილი“.

წარადგინა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ.

3. ჩხიკვაძე რამაზ გრიგოლის-ძე სპექტაკლ „ყვარყვარეში“ ყვარყვარეს როლის შესრულებისათვის და სტურუა რობერტ რობერტის-ძე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სპექტაკლ „ყვარყვარეს“ დამდგმელი რეჟისორი.

წარადგინეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციამ და სარეჟისორო კოლეგიამ. (საქინფორმი).

# შორს გატყორცნილი სახელი

## ქართული საბჭოთა ხელოვნება მსოფლიოს გზებზე

თანამედროვე, 70-იანი წლების კინომაყურებლებიდან, ცხადია, არც თუ ისე ბევრს უნახავს გამოჩენილი რეჟისორის ალექსანდრე წუწუნავას თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული ფილმი „უაილდ-ვესტის მხედარი“. დიახ, ბევრს არ უნახავს, მაგრამ ალბათ ყველა კინოხელოვნების მოყვარულს გაუგონია, და ისიც იცის, რომ ფილმი ნინო ნაკაშიძის ცნობილი დრამის — „ვინ არის დამნაშავე?“ საკმაოდ კარგი ეკრანიზაცია იყო მუნჯი კინოს პერიოდში...

რატომ გავიხსენეთ ახლა ეს ფილმი? ცხადია, არა იმისათვის, რომ მის ავ-კარგიანობაზე ვილაპარაკოთ, ამჯერად არც მისი კინემატოგრაფიული მხარე გვაინტერესებს და არც აქ დატრიალებული ტრაგედიის სოციალური მიზეზები..., ფილმის ერთ-ერთი გმირი რევოლუციამდელი გურიის ერთ-ერთ სოფელში თავს უყრის მარჯვე, მამაც მხედარ-მოჯირითეებს, რომ მერე ისინი ამერიკაში წაიყვანოს და საცირკო ატრაქციონი გამართოს (ცნობილია, რომ აქ ასახულია რეალური, აწ ისტორიად ქცეული ამბები).

რა ამოძრავებს ჩვენს გმირს? რატომ ირჯება ასე თავგამეტებით შორეული ოდისეისათვის? ეგებ მას ხურს მშობლიური ხალხის ვაჟკაცობა, სიმკვირცხლე და სიჩაუქე აჩვენოს ამერიკელებს და თავისი პატარა ქვეყანა ასახელოს? ვაი, რომ არა! გოგია უიშვილის თანამემამულე ერთ ოცნებასა და ფიქრს შეუპყრია: ფული იშოვნოს, პატარა სიმდიდრე მოაგროვოს, რათა წელი წამოიღოს და გაუხარელი ცხოვრების ჩარხი სასიკეთოდ შემოაბრუნოს. აი, ეს არის მისი „მოღვაწეობის“ თავი და ბოლო. ან კი, რა უნდა ექნა, როცა მაშინ მხოლოდ უკუღმართობითა და ცოდო-ბრალით იყო სავსე ეს წუთისოფელი...

დიახ, ასე იყო, ეს რეალური ფაქტი იყო, და ფაქტები კი შენს ნებასურვილზე არსად გაგიშვებენ. მაგრამ აბა ნახეთ, რა საწყალობლად, რა გულსაკლავად გამოიყურება ვესტ-უაილდის არენაზე მოჯირითე ქართველი მხედრის სევდანარევი ამბავი დღეს, როცა ჩვენი საბჭოთა ეროვნული კულტურის მშვიდობიანი დესპანები მრავალსაუკუნოვანი ქართული სიმღერებითა და ცეკვებით „იპყრობენ“ ქვეყნებსა და კონტინენტებს!..

რაკი ქართული კულტურის უცხოეთში „გატანაზე“ ჩამოვარდა სიტყვა, ე. ი. რაკი უკვე ამ წერილის ძირითად სათქმელთან მივედით, ერთი წუთით გონების თვალით ჩვენს უახლოეს წარსულსაც გავხედოთ, იმ შორეულ საუკუნეებს კი ნუღა მივწვდებით, როცა უცხოეთში დამაშვრალი ბევრი ქართველი მოღვაწე — მწერალი თუ ხელოვანი, ფილოსოფოსი თუ მეცნიერი, სამშობლოსაგან შორს მყოფნი ქმნიდნენ თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის სახელსა და დიდებას (ჩვენმა ისტორიამ უკვდავების შარავანდედით შეამკო ასეთ ადამიანთა სახელები!). ამჯერად ერთ საუკუნეზე მცირე დროის მონაკვეთიც საკმაო იქნება უკან გასახედავად და ჩვენი ამჟამინდელი წინსვლის უდიდესი მასშტაბების ნათელსაყოფად.

განა ქართველი კაცი 60-80 წლის წინათ არ მღეროდა? მღეროდა და მერე როგორ! ასე რომ არ ყოფილიყო, საქართველოში სტუმრად ჩამოსული დიდი მუსიკოსი პეტრე ჩაიკოვსკი (და სხვებიც) როგორ მოიხიბლებოდა ჩვენებური ჰანგებით?! მაგრამ ვინ ჰყავდა მიმხედავი ეროვნულ მუსიკალურ საუნჯეს! თითო-ოროლა ენთუზიასტის მიერ შექმნილ პატარა ეთნოგრაფიულ გუნდებს კი დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერათ უსახსრობისა და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მხრივ უყურადღებობისა და გულგრილობის გამო. დიახ, სახელმწიფოს მხრივ უყურადღებობის გამო!...

აბა ერთი ახლა დღევანდელ ვითარებას გადავხედოთ, გადავხედოთ და ერთხელ კიდევ გავიმეოროთ მრავალგზის ნათქვამი ჭეშმარიტება: საბჭოთა სახელმწიფომ სრულიად ახალი პირობები შეუქმნა ეროვნული კულტურების ყოველი დარგის აღორძინებასა და განვითარებას პროფესიონალიზმის საფუძველზე, შესაძლებელი გახადა, ვთქვათ, ქართული კულტურის პროპაგანდა და პოპულარიზაცია არა მარტო საკუთრივ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. მარტო 1974 წელს იმდენი ქართული მხატვრული დიდი თუ მცირე კოლექტივი, იმდენი ცალკეული მუსიკოს-შემსრულებელი იყო საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში ხუთივე კონტინენტზე, რომ მარტო ჩამოთვლაც კი უზარმაზარ სიას შეადგენდა. მით უმეტეს, ცხადია, შეუძლებელია თვითეულ მათგანზე ცალცალკე საუბარი, თუნდაც უაღრესად შემჭიდროებულად. მოვიგონოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, რომელთა გასტროლებს შედარებით უფრო დიდი მასშტაბი და ფართო გამოხმაურება ჰქონდა.

უწინარეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ ქართული საბჭოთა კულტურის დღეები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენში. ეს არ ყოფილა ერთი რომელიმე ანსამბლის გამოსვლა საზღვარგარეთის ქვეყანაში. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული კულტურის, ჩვენი საბჭოთა ხელოვნების კომპლექსური ჩვენება ევროპის ცენტრში. „გულითადი მეგობრობა თბილისისა და საარბრიუკენის მოღვაწეთა შორის სცილდება პროფესიულ, შემოქმედებით საზღვრებს. ეს არის გერმანელი და საბჭოთა ხალხების მჭიდრო კულტურული ურთიერთობის შესაქმნელი და გასაღრმავებელი გზა“ — ასეთი ძირითადი აზრი დომინირებდა იმ დღეებში გერმანული პრესის ფურცლებზე და საზოგადოებრივ წრეებში. ამ მხრივ საგულისხმოა აგრეთვე საარლანდის სახელმწიფო თეატრის გენერალური დირექტორის, საქართველო-გერმანიის შემოქმედებითი თანამშრომლობის ერთ-ერთი ინიციატორისა და ორგანიზატორის ჰერმან ვედეკინდის სიტყვები — „ჩვენ ყველას ერთი ცა, ერთი მზე და მთვარე დაგვნათის, აქაც ისეთივე მთები და ველებია, როგორც საქართველოში. იქ, თქვენთან, ისეთივე ტყეები და მდინარეებია, როგორიც აქ — გერმანიაში. თბილისი ჩემთვის ისეთივე მშობლიური და ახლობელია, როგორც საარბრიუკენი. მიხარია, რომ თქვენ ისევე გიყვართ მეგობრობა, როგორც ჩვენ, და დღესაც ისევ და ისევ მეგობრობისაკენ მოგიწოდებთ!“

საარბრიუკენში კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ ქართულ საბჭოთა კულტურას, რომლის განვითარება და განმტკიცება კომუნისტური პარტიის, სოციალისტური სახელმწიფოს ყოველდღიური ყურადღებისა და ზრუნვის საგანია, მსოფლიოს ნებისმიერ, დიდი კულტურის ქვეყანაში შეუძლია თქვას თავისი სიტყვა და მხარი გაუსწოროს თანამედროვე კულტურულ პროგრესს.

ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის სამთვიანი საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და ვოკალური ანსამბლი „გორდელა“. ამ გასტროლებზე უკვე საკმაოდ დაიწერა რესპუბლიკურ პრესაში, მაგრამ რაც დრო გავა, მისი მნიშვნელობა უფრო მეტად გამოჩნდება. ქართველი ხელოვნების ოსტატები გამოვიდნენ 22 შტატის 58 ქალაქში და 70-ზე მეტი კონცერტი გამართეს. 70 კონცერტი ხუმრობა საქმე როდია, ისიც ამერიკაში. აბა, რამდენ საზღვარგარეთულ მხატვრულ კოლექტივს დავასახელებთ, რომელიც ასეთი ტრიუმფით გამოსულიყოს, ვთქვათ, ჩვენს ქვეყანაში?! თანაც ეს უბრალო, უღიმღამო კონცერტები როდი იყო. ყოველი კონცერტი იყო ხელოვნების ზეიმი, ტაში და აღტაცება. ამის დასტურია ამერიკული პრესა, მრავალრიცხოვანი რეცენზიები და სხვა მასალები, რომლებიც ერთად აკინძული ჩვენი კულტურის სადიდებელი საუკეთესო წიგნი იქნებოდა. ამის დასტურია ისიც, რომ ამერიკულმა ფირმამ „კოლუმბია-არტისტმა“ ანსამბლი 1975 წლისათვის კვლავ მიიწვია საგასტროლოდ.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლი წელს მესამედ იყო შორეულ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, მაგრამ ჩვენ ეს უკვე აღარ გვიკვირს, რადგან მას თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანა აქვს მოვლილი (ბევრგან რამდენჯერმე ყოფილა). როცა ეს ანსამბლი მორიგი საზღვარგარეთული ტურნეს შემდეგ ჩვენს დედაქალაქში ერთგვარი საანგარიშო კონცერტებით გამოვა ხოლმე, თბილისელები არც თუ უსაფუძვლოდ ხუმრობენ: — ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ანსამბლი საგასტროლოდ გვეწვიაო...

შემოდგომაზე უნგრეთში თავისი პირველი საზღვარგარეთული გასტროლები ჰქონდა ქ. რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. ახლა ეს თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, რადგან ვიცით, რომ ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა წლებში გასტროლებზე ყოფილან ჩვენი ოპერისა და ბალეტის, თბილისის რუსთაველის სახელობის, ქ. ბათუმის სახელმწიფო თეატრები და სახელი და წარმატებაც არ დაჰკლებიათ. მაგრამ აბა გაიხსენეთ, რომ რუსთავის თეატრი ჯერ ათი წლისაც არ არის. თეატრი კი არა და, თვით თანამედროვე, ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავს დაახლოებით 30 წლის ისტორია აქვს. გაიხსენეთ, და ნათელი გახდება, თუ რას ნიშნავს ის წარმატება და სახელი, რაც სასცენო ხელოვნების რუსთაველმა ოსტატებმა უნგრეთში მოიპოვეს.

1974 წელს ევროპის და ამერიკის ქვეყნებში საგასტროლოდ იყვნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (პოლონეთი), სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი (ჩეხოსლოვაკია), ვოკალური და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „ორერა“ (რუმინეთი, ბულგარეთი), „დიელო“ (კუბა), „აისი“ (უნგრეთი), „რუსთავი“ (საფრანგეთი), „სალხინო“ (ფინეთი), აგრეთვე რამდენიმე თვითმოქმედი კოლექტივი. სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების მონაწილე, თუ ინდივიდუალურ გასტროლებზე მყოფ ცალკეულ მუსიკოს-შემსრულებელთა ჩამოთვლა კი ძალიან შორს წაგვიყვანდა და ახლა არც არის ჩვენი მიზანი.

ამ ერთი წლის მანძილზე უცხოეთიდან სიხარული მოგვიტანა ქართულმა კინოხელოვნებამაც. თენგიზ აბულაძის ფილმმა „ვედრებამ“ სან-რემოს (იტალია) მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალზე I პრემია მოიპოვა. გიორგი შენგელაიას ფილმი „ფიროსმანი“ ბრიტანეთის კინოხელოვნების აკადემიამ წლის საუკეთესო ფილმად აღიარა და აღნიშნა, რომ იგი „...ერთადერთი და სერიოზული ცდაა იმისა, რომ კინოს ენით გამოიხატოს მხატვრული აზროვნების ექსპრესია“. ამავე სურათს ქ. ჩიკაგოს (აშშ) საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს პიუგო“ მიენიჭა. გიორგი შენგელაიასვე ფილმ-მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ სან-სებასტიანში (ესპანეთი) გამართულ XXII ტრადიციულ ფესტივალზე კინოს საერთაშორისო კათოლიკური ორგანიზაციის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ოპტიმიზმისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის...

ეს ზოგადი, საკმაოდ მცირე მიმოხილვაც კი ნათელსყოფს იმ დიდ წარმატებებს, სახელსა და აღიარებას, რომელიც 1974 წელს მოიპოვა ქართულმა საბჭოთა კულტურამ, ჩვენმა ხელოვნებამ საერთაშორისო სარბიელზე. სიყვარული გზად და ხიდად! — გვიანდერძა სულმნათმა რუსთაველმა. ხალხთა შორის სიყვარული და მეგობრობა საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი უპირველესი მონაპოვარია, ხოლო როცა ამ დიადი მონაპოვრის გაღრმავება-განმტკიცებისათვის კულტურა და ხელოვნება იღვწის, მაშინ კიდევ უფრო ფართოვდება მისი საზღვრები და ფართობები, რადგან, როგორც სამართლიანად ამბობენ, „ხელოვნებას საზღვრები არა აქვს“.

ლერი კიკნაძე.




# კვლავაც ალალი შრომით!

დამთავრდა 1974 სამეურნეო წელიწადი, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი, რომელმაც ბევრი წარმატება მოუტანა ჩვენს სახალხო მეურნეობას. ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ შრომითი ფრონტის მოწინავე ადამიანები, დეპუტატები. ამ სურათზე თქვენ ხედავთ დეპუტატთა ერთ ჯგუფს. (მარცხნიდან). მაიაკოვსკის რაიონის სოფელ კიკნაველეთის კოლმეურნეობის მევენახე ლ. მასხარაშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის კოლმეურნეობის მეჩაიე ვ. ჯიქია, საჰაერო ხომალდის „ტუ-134“ მეთაური ე. ჩაჩავა, ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატის მბეჭდავი ლ. მანია, ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. ოკუჯავა, თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი რ. ციცაგი, თბილისის ანალიტიკური ხელსაწყოების საკონსტრუქტორო ბიუროს ზეინკალი გ. ბარამიშვილი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

# კ. ვალდჰაიმის ინტერვიუ

ვენა, 30 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა გაზეთ „კურირის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ 1974 წელს ახასიათებდა საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაუმჯობესება. თუმცა, აღნიშნა მან, საერთაშორისო კლიმატს ართულებდა მთელი რიგი კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთსა და კვიპროსში, აზიასა და აფრიკის სამხრეთ ნაწილში, რომლებიც — სანამ ისინი არ მოგვარდებიან — საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობას. კ. ვალდჰაიმმა დადებითად შეაფასა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი ახლო აღმოსავლეთსა და კვიპროსში ვითარების შენელებისა და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაში.

კ. ვალდჰაიმი შეეხო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 29-ე სესიაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევის საკითხს და განაცხადა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია იმის საფუძველზე, რომ ეს ქვეყანა მთელი რიგი წლების მანძილზე არ ასრულებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს.

# ფოტოსურათები მოწმობენ...

ნიუ-იორკი, 30 დეკემბერი. (საკდესი). „მარინერ-10“ კოსმოსური აპარატიდან ამას წინათ მიღებული ფოტოსურათები მოწმობენ, რომ მეცნიერები ალბათ გადასინჯავენ თეორიას მარსის პოლარული ქუდების ბუნების შესახებ. ეს პასადინში (კალიფორნიის შტატი) განაცხადა კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასტრონომიის პროფესორმა ე. ინგერსოლმა.

მეცნიერთა უკანასკნელი ჰიპოთეზების შესაბამისად, მარსის პოლარული ქუდები შედგება მყარი ნახშირორჟანგისაგან, ანუ ეგრეთწოდებული „მშრალი ყინულისაგან“. მაგრამ, როგორც ინგერსოლმა თქვა, „მარინერის“ ფოტოსურათები მოწმობენ, რომ მარსის პოლარული ქუდების ძირითადი ნაწილი „მშრალი“ კი არა, არამედ ჩვეულებრივი ყინული — გაყინული წყალია. ინგერსოლმა თქვა, რომ, შესაძლებელია, მყარი ნახშირორჟანგი არსებობს პლანეტაზე, მაგრამ მაშინ იგი უნდა იყოს ან მარსის „ნიადაგის“ ზედაპირქვეშ, ან პოლარული ყინულის ქუდებქვეშ.

# ვ. ბრანდტის აზრით

ბონი. უეჭველია, რომ „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის შენელების პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს“, განაცხადა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. ბრანდტმა გაზეთ „ნოიე რაინ ცაიტუნგისათვის“ მიცემულ საახალწლო ინტერვიუში.

# ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

# რატომ ცრუობენ პეკინში?

პეკინის პროპაგანდისტები ცდილობენ ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას და მათს დაუოკებელ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. ათობით, ასობით სტატიასა და განცხადებაში ისინი სხვადასხვა ყაიდაზე იმეორებენ უაზრო თეზისს, თითქოს საბჭოთა კავშირი ესწრაფოდეს შეინარჩუნოს ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა: „არც ზავი, არც ომი“.

ბუნებრივია, ისმება საკითხი: რად დასჭირდა პეკინს ესოდენ უხეში ცილისწამება?

მაოისტთა ანტისაბჭოური ვარჯიში დივერსიულ მიზანს ისახავს. მან უნდა ჩამოაცილოს ყურადღება პეკინის ფარისევლურ პოზიციას, რომელიც სიტყვით აცხადებს, რომ არაბული ქვეყნების მეგობარია, საქმით კი მათი ინტერესების საზიანოდ მოქმედებს. მაოისტებს არ სურთ დაუშვან ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მყარი და სამართლიანი მშვიდობიანი მოწესრიგება, რადგან საშიში მდგომარეობის შენარჩუნება ამ რაიონში, ისევე როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნება მთლიანად მსოფლიოში, შეესაბამება მათს ექსპანსიონისტურ კურსს და გლობალურ ჰეგემონისტურ გეგმებს.

პეკინში არ მალავენ, რომ სურთ ჩაფუშონ ჟენევის საზავო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის შესახებ, რომლის უსწრაფესი მოწვევისათვის იღვწიან არაბული სახელმწიფოები და მათი გულწრფელი მეგობრები. ამაში, სხვათა შორის, პეკინი სოლიდარულია თელ-ავივთან. ამ უკანასკნელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი მუდმივი წარმომადგენლის საშუალებით კვლავ გაილაშქრა ჟენევის კონფერენციის წინააღმდეგ.

ამიტომ ხომ არ არის, რომ მაოისტები არაფერს არ თაკილობენ, ოღონდ გააყალბონ არაბი ხალხების მეგობრების პოლიტიკა. (საკდესი).

## საახალწლო კალეიდოსკოპი

# ინდური კალენდარი

დელი

ჩვენი მეგობარი ინდოეთის დედაქალაქ დელშიც ახლა ზამთარია, თუმცა აქის დაჯერება ძნელია. მზე კვლავინდებურად აცხუნებს და თვალს ატრმავებს, ჰაერი სუფთა და გამჭვირვალეა, ხეები ყვავილებით დაფარული დგას. მართალია, საღამოობით და ღამით უკვე საკმაოდ გრილა. ინდოეთის მოსახლეობამ არ იცის, რა არის თოვლი. ამ ქვეყანაში თოვლი არ მოსულა გარდა ჰიმალაების მთიანი რაიონებისა, ჯამუს და ქაშმირის შტატებისა, 1974 წლიდან.

როგორ ხვდებიან ინდოეთში ახალ წელს?

გრეგორიანული კალენდარი, რომლითაც ახალ წელს აღნიშნავენ 31 დეკემბრის — 1 იანვრის ღამით, ინდოეთში შემოიღეს ინგლისელებმა. გრიგორიანული კალენდრით ახალ წელს დღესასწაულობენ უმთავრესად ქრისტიანები. ამ დღის ეკლესიებში ზარებს რეკავენ, ისეთ ნავსადგურებში კი, როგორიც არის ბომბეი, კალკუტა, მადრასი და კოჩინი, ზუსტად შუაღამისას ახალი წლის დადგომას იუწყებიან სირენები და გემებისა და საოკეანო ლაინერების საყვირები. ინდოეთის წინასაახალწლო ფოსტა სავსეა მისალოცი ღია ბარათებით, რომლებსაც ნათესავებსა და მეგობრებს უგზავნიან.

ინდოეთის სამხრეთსა და ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულია საკას წელთაღრიცხვის მთვარისა და მზის კალენდარი, რომლის თანახმად ახალი წელი იწყება ჩაიტრას თვის პირველი დღიდან, რომელიც შეესაბამება 22 მარტს ჩვეულებრივ წლებში და 21 მარტს ნაკიან წლებში. კერალას შტატში მოქმედებს კოლუმის წელთაღრიცხვის კალენდარი, რომელიც გადმოცემის თანახმად იწყება იმ დღიდან, როცა ლეგენდარულმა პარასურამამ გაათავისუფლა კერალის მხარე ზღვის ბატონობისაგან. ბენგალიელებთან ახალი წელი დგება შუა აპრილში. ამ დღეს კარგ ნიშნად ითვლება ახალი წლის პირველ დღეს დილით ადრე განბანა. სახლებში იატაკებს ბრინჯის ფქვილისგან გაკეთებული სხვადასხვაფერი ნახატებით რთავენ.

ქაშმირში, საფთარშის კალენდრით წლის დასაწყისად ითვლება მარტი. ლამაისტები კი მას დეკემბერში დღესასწაულობენ. ასამის შტატში ახალ წელს აღნიშნავენ აპრილ-მაისში. როგორც დღესასწაულს... შინაური პირუტყვის პატივსაცემად — ცხოველებს ამ დღეს იფერებიან, ლერწმის შაქრით და სხვა ტკბილეულობით კვებავენ.

ახალი წლის დადგომას ინდოეთში ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, უკავშირებენ ბედნიერების, წარმატებითი შრომისა და მშვიდობიანი ცხოვრების იმედებს.

# აშშ: შავბნელი წინასწარმეტყველებანი

ნიუ-იორკი

ატლანტაში (ჯორჯიის შტატი, აშშ) ემორის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი ფრედ კროუფორდი წინასწარმეტყველებს, რომ საახალწლო დღესასწაულებს წელს მოჰყვება... თვითმკვლელობათა დიდი ტალღა. საახალწლო დღესასწაულებისათვის ესოდენ შეუფერებელი მოვლენის მთავარი მიზეზია უმუშევრობა. „წარმოიდგინეთ, ადამიანს უზრუნველყოფილი ჰქონდა თავისი ოჯახის ნორმალური არსებობა და უცებ იგი უმუშევარი რჩება, ველარ გადაუხდია შვილების სწავლის ქირა, ვერ კვებავს მათ, საშობაო საჩუქრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამან ადამიანი შეიძლება ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ იგი აჯობინებს ბოლო მოუღოს თავის სიცოცხლეს“, — ამბობს კროუფორდი. თუმცა უმუშევრობა ახალი მოვლენა როდია ამერიკელებისათვის, ხოლო თვითმკვლელობა შობისა და ახალი წლის წინ ყოველთვის მეტი იყო ხოლმე, ვიდრე ჩვეულებრივ დროს, მაგრამ 1974 წლის ბოლო „რეკორდული“ იქნება თვითმკვლელობათა რიცხვით, წინასწარმეტყველებს ფსიქოლოგი.

13 წელია შეერთებულ შტატებში არ ყოფილა უმუშევრობის ისეთი მაღალი დონე, როგორიც ახლაა. ნოემბრის მონაცემებით მან მიაღწია საშუალოდ ქვეყანაში 6,5 პროცენტს. საარსებო საშუალებები მოკლებული აღმოჩნდნენ ისინიც, ვისაც, როგორც წესი, შეეძლო თავისი მომავლის იმედი ჰქონოდა. პირველად 30-იანი წლების კრიზისის დროიდან სამუშაოდან ითხოვენ ნიუ-იორკის მუნიციპალურ მოსამსახურეებს. ცდილობს რა შეამციროს საქალაქო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელმაც რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს მიაღწია, ქალაქის მერმა ა. ბიმმა გამოაცხადა: ქალაქში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება ხუთი ათასზე მეტი კაცით. ეს ადამიანები — მათ რიცხვში კი შედიან, გარდა ქალაქის დაწესებულებების ტექნიკური მოსამსახურეებისა, აგრეთვე პოლიციელები, მეხანძრეები, დამლაგებლები, — ქუჩაში უნდა აღმოჩნდნენ ჯერ კიდევ 1975 წლის დადგომამდე. ამასთან ეს მხოლოდ „პირველი ფაზაა“, რომელსაც პრესის აზრით, უნდა მოჰყვეს ახალი დათხოვნები.

მიმავალი წლის უკანასკნელ დღეებში მილიონობით ამერიკელს სადღესასწაულო განწყობილება როდი აქვს, და პროფესორ კროუფორდის წინასწარმეტყველება სავსებით გამართლებული ჩანს.

# 6.000 მილი არქტიკაზე

ტოკიო

იაპონელი მწერალი და მოგზაური, პოპულარული სათავგადასავლო წიგნების ავტორი ნაომო უემურა ახალი წლის წინ გაემგზავრა არქტიკის რთულ ექსპედიციაში შემდეგი მარშრუტით: დასახლებული პუნქტი იაკობსხავნი (გრენლანდია) — კანადის არქიპელაგის კუნძულები — ჩრდილოეთი კანადა — ალასკა-ბერინგის სრუტე. მამაცი მოგზაური აპირებს ეს დიდი გზა, რომელიც 6.000 მილს შეადგენს, მარტომ გაიაროს ძაღლებშებმული მარხილით.

უემურას სურს დაამტკიცოს, რომ სწორედ ეს გზა (ოღონდ, — შებრუნებული მიმართულებით) გადალახეს დიდი ხნის წინათ ესკიმოსებმა. „ესკიმოსები ხომ წარმოშობით აზიელები არიან, — აღნიშნავს მწერალი, — მე შევისწავლე მათი ენა, ზნე-ჩვეულება, შევძელი სამყარო ისე დამენახა, როგორც მას ესკიმოსები ხედავენ. და, ჩემი აზრით, უფრო საფიქრებელია, რომ ჩემი არჩეული მარშრუტით განვლეს მათაც თავიანთი დიდი გზა“.

ბუნებრივია, რომ მსგავსი მოგზაურობა აურაცხელ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მაგრამ უემურა ახალბედა და ხიფათთა უგუნური მაძიებარი, როდია. მას საუცხოო წვრთნა აქვს გავლილი: ექსპედიცია ძაღლებით გრენლანდიაში, მოგზაურობა ამაზონის მდინარით, ხუთივე კონტინენტის უმაღლეს მწვერვალებზე ასვლა. მოგზაურის აზრით, მის გზაზე ყველაზე დიდი დაბრკოლება იქნება ხანგრძლივი მარტოობა თოვლიან უდაბნოში, გრენლანდიის ყინულოვანი, ალაგ-ალაგ ნაპრალოვანი მსუბუქი თოვლით დაფარული მასივები და მშიერი თეთრი დათვების ძაღლებზე თავდასხმის საშიშროება.

„მე, ცხადია, რისკს ვეწევი, — განუცხადა უემურამ ჟურნალისტებს ექსპედიციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. — მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების გზაა და მე არ დავიღუპები. ექსპედიცია იშვიათ შესაძლებლობას მაძლევს შევამოწმო ჩემი თავი, ჩემი გამბედაობა, ძალა და ამტანობა, გამოვავლინო წრთობა და სიმტკიცე“. უემურამ მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი „არქტიკული ტურნე“ თავისებური მომზადებაა ანტარქტიკულისათვის. მან გადაწყვიტა, რომ, თუ ახლანდელი ექსპედიცია კარგად დასრულდა, ძაღლებით ან თხილამურებით ანტარქტიდაში წავიდეს და სამხრეთ პოლუსს მიაღწიოს.

უემურა გზაში ორ წელიწადზე მეტხანს დაჰყოფს. თუ წარმატება ექნა, ბერინგის სრუტეს — თავისი მოგზაურობის მიზანს — 1977 წლის 7 აპრილს მიაღწევს. მრავალი თვის განმავლობაში იგი გარესამყაროსთან თავისი პატარა რადიოსადგურით იქნება დაკავშირებული. ვუსურვოთ წარმატება მამაც მოგზაურს. (საკდესი).

# უკანასკნელი საათს

## მეგობრობისა და თანამშრომლობის სიმბოლო

კაირო. (საკდესი). ასუანის მაღლივ კაშხალზე მთავრდება საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის ხალხთა მეგობრობის მონუმენტის მშენებლობა. საბჭოთა ავტორების პროექტის მიხედვით შექმნილი მონუმენტი — ლოტოსის გიგანტური ყვავილი — სიმბოლურად ასახავს ეგვიპტელთა ბრძოლას ახალი ცხოვრებისათვის. ლოტოსის ხუთი 76 მეტრიანი ქათქათა გვირგვინის ფურცელი დაფარულია ჩუქურთმებით, რომლის თემატიკა ასახავს ეგვიპტელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებას, ორი ქვეყნის მეგობრობასა და თანამშრომლობას პროგრესისა და მშვიდობისათვის.

ექსკურსანტები ორი ლიფტით ავლენ მონუმენტის დასათვალიერებელ მოედანზე. თვალსაწიერიდან მათ წინაშე გადაიშლება ასუანის მაღლივი კაშხალი, ელექტროსადგური და ქარხნები, რომლებიც აქ უკანასკნელ ხანს აშენდა.

## შეიძინეს ამერიკული ვალუტა

მეორედ უკანასკნელ სამ დღეში გერმანიის ფედერალურმა ბანკმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სასწრაფოდ შეიძინა თითქმის 18 მილიონი დოლარის ამერიკული ვალუტა, რათა შეეჩერებინა დოლარის კურსის სწრაფი დაცემა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სავალუტო ბირჟებში.

## შვეციის ახალი კონსტიტუცია

სტოკჰოლმი. 31 დეკემბერი. (საკდესი). შვეციის ახალი კონსტიტუცია, რომლის შემუშავებას ორ ათეულზე მეტი წელი მოუნდა, ძალაში შედის 1975 წლის 1 იანვარს. იგი ამა წლის 27 თებერვალს მიიღო რიკსდაგმა — „პარლამენტმა“ და შეცვალის კანონთა კრებულს, რომელთა ძირითადი ნაწილი 1809 წლიდან მოქმედებდა.

ახალი კონსტიტუციის თანახმად ქვეყანაში შენარჩუნებულია მონარქია, თუმცა მეფის პრეროგატივები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ფართოვდება პარლამენტისა და მთავრობის რწმუნებულებანი, მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

კონსტიტუცია განამტკიცებს კერძო საკუთრების პრინციპებზე დამყარებულ კაპიტალისტურ სისტემას ქვეყანაში, სადაც გაბატონებული პოზიციები უკავია მსხვილ სამრეწველო და საფინანსო კაპიტალს.

ისრაელის აგრესიული წრეები კვლავ დაჟინებით გაიძახიან მეხუთე ომის გარდუვალობაზე (გაზეთებიდან).




მოემზადეთ ცეცხლი, მეხუთე ომის ასანთებად.

გ. ლომიძის ნახატი.




## საახალწლოდ პატარებს
□
## თოვლის პაპას ნათქვამი

ცეკვით, სიმღერით,
სიცილ-კისკისით
მომილოცნია
წელი ახალი!
მომაქვს ციგები,
თოვლის გუნდები,
მაჭახელების
ჭახან-ჭახანი!
მაღალი ნაძვის
მწვანედ ღაღანი,
მწვანე ნაძვივით
რწმენა მაღალი,
რომ ამ მიწაზე
აღარ იქნება
წყარო დამშრალი,
ნერგი—გამხმარი.
გულს გაგვილაღებს
შრომის სიმღერა,
წარმატებები
ახალახალი
და საქართველო
გახდება მალე
მართლაც ზღაპრული
მხარე-ბაღნარი!

გივი ჭიჭინაძე.

ქრონიკა
□
## თბილისის საზღვრები

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის საზღვრები.

ქალაქ თბილისის ტერიტორია განისაზღვრება 34.860 ჰექტარით.

დაწესდა, რომ ქალაქის ფარგლებში მოქცეული მიწები შეადგენს ქალაქის მიწის ფონდს. ამ ფონდში შემავალი საბჭოთა მეურნეობების მიწები, აგრეთვე ტყის სავარგულები რჩება საბჭოთა მეურნეობების და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციათა სარგებლობაში და ეს მიწები ქალაქს მის განვითარებასთან დაკავშირებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადაეცეს შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

დასახლებული პუნქტები: მცხეთის რაიონის — მწვანემშენი და ძველი ვაძისი, გარდაბნის რაიონის — ვარკეთილი და პატარა ლილო, რომლებიც ტერიტორიულად ქალაქ თბილისის ფარგლებში შედიან, დარჩნენ შესაბამისად მცხეთისა და გარდაბნის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალას კარგავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულება „ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ“.

### სიმართლე — ხუმრობით



თბილისის აეროპორტში

— ახალს რას გვეტყვით?
— ორი საათია ჩამოვფრინდი და ბარგი ვერ მიმიღია.
— ეგ ხომ ძველია, შე კაცო!



სანამ თორმეტი დარეკავდეს

— სუფრასთან არ მივალ, ბატონო. თოფი მომე, ვისროლო, მოვიდა ახალი წელი!

მ. აბაშიძის ნახატები.



მლიქვნელი:

— მლიქვნელი არ გეგონოთ, საკარნავალოდ მაცვია!

ვ. კუციას ნახატი.

მოთხრობა



## ეთერი

რევაზ ინანიშვილი

**ამ სოფლიდან** ყველანი წავიდნენ, ზოგი ქალაქში, ზოგიც აქვე ახლოს, ბარის სოფლებში. მართალია, ათიოდე სახლი ჯერ ისევ სახურავმთელი დგას, მაგრამ სამი სახლის მეტს ყველას მძიმე ბოქლომი ადევს, მხოლოდ სამი სახლიდან ამოდის ხოლმე დილა-საღამოს კვამლი, იმ სამი სახლიდანაც — ორში წლებისაგან აჩრდილებად ქცეული დედაბრები ცხოვრობენ, გამოვლენ და მწუხარედ დაიხატებიან დერეფნის კედელზე, ხან წარბებთან უდევთ აკანკალებული ხელი, ხან ყურის უკან; გამუდმებით ვილაცას ელიან, ეხმაურებიან ყოველ პატარა ჩქამს:

— ბიჭო,, გოგო! ხომ არავინა ხართ მანდ?

დაბერებულან მათი ბაღის ხეებიც — ნიავი აქანავებს ჭიანაჭამ ქერქებს, ბალახებში ყრია წითელი ვაშლები, დაჩამიჩებული შავი ქანჭური. დამპალა, ჩაფეხვილა ლობის ლანჯები, ძურწა და ნარი მოსდებია ბილიკებს. ეზოში დადის მარტოობით გადაყრუებული ძაღლი, სამი თუ ოთხი ქათამი, ერთი ძურწაშეხორხლილი თხა, ხეებზე მოდიან მხიარული ჩიტბატონები.

მხოლოდ მესამე სახლს ეტყობა კაცის ხელი. ჯერ ისევ ნედლი რცხილის წნელით შემოღობილია მაღალი საჩეხე, შიგ ცხვრები ბლავიან. მოთრეულია ხერხით მოჭრილი ორი ვეება წიფელი, ბებერი პანტის ძირზე მიკრულია ახალდაკლული თხის რქები, ბაღი გადაჩიჩქნილია ბარით, — ეს-ესაა ოდნავ სველში ამოუღიათ კარტოფილი, სახლისკენ მიდის ფეხით გაბეკილი ბილიკი, დაბალი კიბის ძირში, საფეხქთან, დატოვებულია ფეხის ტალახი. დადიან ბატები, ინდაურები. კედლებზე გაკრულია პლაკატები: „დავიცვათ ტყე ხანძრისგან“, „მივცეთ სამშობლოს მეტი და მეტი ხორცი“, „ვთესოთ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად“. სახლში ცხოვრობენ: მამა, დედა და ათი წლის გოგო ეთერი.

მამა ტყის მცველია, დედა დაბლა, მეძროხეობის ფერმაში მუშაობს, ეთერი მეოთხე კლასში სწავლობს. როგორც თითქმის ყველა ქართველი გოგო, ისიც მორცხვია და უფროსებთან ყოველთვის თავდახრილი დგას. ამ დროს მისი ცისფერი თვალები ხან ერთ მხარეს ეძებენ გასაქცევს, ხან მეორე მხარეს. კარგად დამრგვალებული ლოყები წითლად აქვს შეშაშრული, კიდევ უფრო წითელ ხელებს ზურგს უკან მალავს.

ეთერი რომ ადგება, დედა უკვე ფერმაშია წასული. შიშველი ფეხებითვე აითრევს რეზინის ჩექმებს, ეზოში გაივლ-გამოივლის, დახედავს ინდაურებს და ბატებს, ჩაიჭვრიტება საჩეხეშიც — ბატკანი ხომ არ მოიგო რომელიმე ცხვარმა. დერეფნის ბოძზე დაკიდებულ პირსაბანზე დაიბანს ხელპირს, შეიმშრალებს, ჩაიცვამს, გამოეწყობა სასკოლოდ. ჩაიყრის ცხელ რძეში პურს, თან ჭამს, თან ქვაბზე მიყუდებულ წიგნში იყურება. მორჩება ჭამას, ჩანთაში ჩააწყობს წიგნებს, პურის ნატეხს, ვაშლებს, ჩაიცვამს წითელ მოკლე პალტოსაც, მოიხვევს მოსახვევს. აიკიდებს ჩანთას და წავა სკოლაში.

სკოლაც დაბლაა, მეორე სოფელში, გაკვეთილები ათ საათზე ეწყებათ! სანამ იქ ჩავა, ტყეა, თავ-თავქვე ჩამავალი, შეწითლებული, ფოთლებშეთხელებული. მიდის, დილის ცინცხალ ჰაერში თითქოს ცხვირით მიიკვლევს გზას, მიაშუქებს ჩამოხვავებულ ათასი ფერის ფოთლებს, წასწვდება წითლად ადუღდუღებულ კუნელს, პაწაწა ხმაურზეც კი კრთება, დადიდებული თვალებით იყურება აქეთ-იქით. ხანდახან მირბის კიდეც, მიიფეხვება, მიაფახვახებს ჩანთას. ვინც კი შეხვდება, ყველა გაღიმებული ეგებება, — მიდიხარ, ეთერ ქალო, სკოლაშიო? ეთერი მხოლოდ თავს უქნევს და უფრო ბეჯითად მიადგამს ნაბიჯებს.

სოფელში ჩასულს ზოგჯერ თუ დაემგზავრება რომელიმე მოსწავლე, უმეტესად მაინც მარტო მიდის. ჩავა ხევში. იქ, დიდ ლოდებს შორის, მოჩქრიალებს ლურჯი მთის წყალი, იმ წყალს ორჯერ ამოჰკრავს ხელს, შესვამს ცოტას და მერე ცისკენ მიპყრობილი თვალებით დაიწყებს აღმართზე ასვლას.

აღმართი არც კი აქვს ათავებული, გამოჩნდება სკოლაც — დაბალი ქართულკრამიტიანი, გრძელი, შეთეთრებული შენობა. სოფლური დერეფნის ბოძზე ჰკიდია თითბრის მოზრდილი ზარი, ზედ აწერია: „წმინდაო გიორგი შემწე მეყავ მე ულირსსა წინაშე ღმრთისა“. ეზოში დგას ლამაზად ასული ცაცხვი, იქვე — მუხის ბოძებში გაყრილი სავარჯიშო ლერძი, ცაცხვის ქვეშ — გრძელი ფიცრის სკამი.

ეთერი გულმოდგინედ იწმენდს ფეხებს საფხეკად დაგდებულ დიდი გუთნის სახნისზე. მერე დერეფანში შედის. დერეფნის კედელზე ჩამწკრივებულია თეთრ მატერიაზე ყავისფერი სალებავით დახატული, გადახუნებული, გადაცრეცილი სურათები — აკაკი წერეთელი (საფეთქელთან მიტანილი ლამაზი ხელით), ვაჟა-ფშაველა, დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი, შიო არაგვისპირელი და ეკატერინე გაბაშვილი.

ეთერი მორიდებით გაივლის იმ სურათების ქვეშ და დაინტერესებული შეაღებს კლასის კარს. შიგნით ჯერ არავინ არის. დგას მხოლოდ ხუთი ცარიელი მერხი (კლასში ცხრანი არიან), ერთიც თუნუქის დაჟანგებული ღუმელი.

ეთერი რომ ჩანთას მოიხსნის, მაშინ [illegible] დაფეთებული ბიჭი.

— [illegible]

ბიჭი არაფერს ამბობს, იღიმება.

კლასის კედელზე დაბეჭდილი სურათი ჰკიდია. ხეა აყვავებული, ხის იქით ტრაქტორი ხნავს, ნახნავს გუნდად დასტრიალებენ ფრინველები. ქვეშ მიწერილი აქვს „გაზაფხული“.

სკოლის იქით მოჩანს ძველი, ჩანგრეული ეკლესია. ნანგრევის წვერში აფუყული, დარდიანი რუხი მტრედი ზის.

ეთერი წიგნს გადაშლის და ტუჩების ცმაცუნით ამოიკითხავს:

„ჩინეთში, როგორც იცი, ჩინელები ცხოვრობენ, იმპერატორიც ჩინელი ჰყავთ“...

ტუჩები ღია რჩება, სახეზე სიამოვნების შუქი ეფინება.

მამამისი ზემოთ დიდ ტყეებში დაბოტებს და ხეებს ყარაულობს — უნებართვოდ არავინ მოჭრასო.

## გიორგი ლებანიძე

**ა**მბობენ, ძაღლი ადამიანის მეგობარიაო. მე კი არავითარი საშუალება არ მომეცა აქ არსებასთან არათუ მეგობრული ურთიერთობისა, არამედ უბრალო ნაცნობობის დამყარებისაც კი. ვერ გამიგია, ცხოველები ასეთი საკვირველი ერთსულოვნებითა და სიტკიცით რატომ მტრობენ. საკმარისია გვერდზე გავუარო თავგისოდენა ფინიასაც კი, რომ უმალვე შეეცდება ქუსლში წამწვდეს.

— ძაღლებს არ უყვართ ცუდი ადამიანები, — „მამშვიდებენ“ მათი პატრონები.

ცხადია, რომ ასეთ მტკიცებას ვერ დავეთანხმები. ამ საკითხზე სრულიად საწინააღმდეგო აზრისა გახლავართ. გულახდილად რომ მოგახსენოთ, ჩემში ძაღლები სრული თანაზიარობით სარგებლობენ. მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად მეშინია მათი, მოხერხებულ ჟამს, ვცდილობ წიხლი ვკრა გვერდში ან „შემთხვევით“ კუდზე ფეხი დავაბიჯო.

ადვილი წარმოსადგენია ჩემი მდგომარეობა ამჟამად, როცა ქალაქში ძაღლის ყოლა წყეულ მოდად იქცა. ეს ცხოველები, რომ იტყვიან, ძაღლთუმრავლესნი, უშველებელ ჯოგებად დაძრწიან ქუჩებსა და მოედნებზე. ერთი „ფარა“, ვით ესტაფეტას, ყეფითა და აურზაურით გადამცემს ხოლმე მეორეს. მე კი თავქუდმოგლეჯილი დავრბივარ მეძებრებისაგან დამფრთხალი კურდღელივით, თუმცა ნიადაგ მესმის მათი პატრონების ფრიად ავტორიტეტული განცხადება: „ნუ გეშინია, მეგობარო, ჩემი ძაღლი არ იკბინება!“ ისე დაჯერებულად ამბობენ ამას, თითქოს ბუნებაში არსებობდეს ძაღლი, რომელიც არც ყეფს და არც იკბინება, ან თითქოს მომდევდნენ ახლადგამოჩეკილი ბატკნები და არა სიძულვილით გაშმაგებული ოთხფეხა მხეცები, რომლებიც მზად არიან გადამასანსლონ ისე, რომ ძვლებიც კი აღარ დარჩეს.

იმ ახალწლის საღამოს კი, სრულიად მოულოდნელად, ძაღლთა ეს ჩემდამი ერთსულოვანი სიძულვილი უცნაურად შეტრიალდა. აი როგორ მოხდა ეს.

ყველა მამაკაცისათვის, მით უფრო, ოჯახის უფროსისათვის კარგად არის ცნობილი საახალწლო თადარიგის ორომტრიალი, როცა სულისმოუთქმელად დარბის მაღაზიიდან მაღაზიაში, ბაზრიდან ბაზარში სხვადასხვა სანოვაგისა და ნობათების საყიდლად. აი ცოლისა და სიდედრის ყველა დავალება შესრულებულია. დაღლილი, აქლომინებული შევარდები ბინაში სწორედ იმ კრიტიკულ მომენტში, როცა ის არის საათი ღამის 12-ის ჩამოკვრას აპირებს.

ასე დამემართა მეც იმ ახალწლის საღამოს. ტაქსიდან ჩამოვხტი და სასწრაფოდ სადარბაზოსაკენ გავექანე. საახალწლო ნაძვისხესავით ზედ ასხმული მქონდა სხვადასხვა კოლოფები და პარკუჭები. ის იყო ლიფტში ფეხის შედგმა დავაპირე, რომ თითქოს სპეციალურად მე მელოდებაო, ჩემს წინაშე აღიმართა ხბოს ოდენა ძაღლი: ფეხაკრეფით, შიშით, რიდით და კანკალით გვერდ-გვერდ გავლა დავაპირე. მაგრამ, ეტყობა გული ვერ მოვუგე, შევამჩნიე, რომ უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა დრუნჩი და გამაფრთხილებლად დაიღრინა. სწრაფად უკანდახევა მომიხდა, აქეთ-იქით უმწეოდ მზერა დავიწყე, იქნებ პატრონი დავინახო-მეთქი. მეორედ შევეცადე გავსხლტომოდი ამ მხეცს. უფრო [illegible] მოწიწებითა და რიდით კედელს შპალერივით გავეკარი და გავლა დავაპირე, მაგრამ, ეტყობა, ჩემმა აბეზარობამ სერიოზულად გაუღიზიანა ნერვული სისტემა და ერთბაშად ჩემი ბოლოს მოღება გადაწყვიტა. დაალო ბეჰემოტის უშველებელი ხახა, სადაც სამართებლივით ბასრი ეშვები მოუჩანდა და შემაძრწუნებლად დაიგრგვინა, ჩემსკენ სულმოუთქმელად გამოიწია. თავისთავად ცხადია, მე არ დაველოდე, როდის გადამსანსლავდა და არც დავა დავუწყე. სასწრაფოდ დავიხიე ადრინდელ პოზიციებზე. ბედს შევურიგდი და ბოღმით სავსე მივუჯექი იქვე ეზოში მდგარ ბაღის მაგიდას, ჩამოვიხსენი ახუნძლული პროდუქტები. სწორედ მაშინ შემომესმა აჩქარებული ნაბიჯები. ძაღლის პატრონი მეგონა და გახარებულმა წამოვიწიე. როგორც იმ საღამოს შეეფერებოდა, ისიც ზემებრ კოლოფებითა და პარკუჭებით დატვირთული იყო და შინისაკენ მოიჩქაროდა. შიშით და იჭვით შემავლო თვალი და სადარბაზოში სწრაფად შეიჭრა. რამდენიმე წამსაც არ გაუვლია, რომ უფრო მეტი სისწრაფით უკან გამოვარდა. აქვე შემომესმა კარგად ნაცნობი გულისშემზარავი ღრენა. მივხვდი, რომ ეს ამხანაგი ამ მხეცის პატრონი არ გახლდათ. თანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ძაღლმა ჩემზე გაბრაზებულმა მას შეუტია. ეჭვი არ იყო „ადამიანის მეგობარს“ ნაძვილად აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ მე ამ ქვეყნად ჯერ კიდევ ვარსებობდი და ვსუნთქავდი.

ახლადმოსულმა ენის ქვეშ ვალიდოლი ჩაიდო, ქშუტუნითა და ოხვრით გვერდით მომიჯდა. გამოვესაუბრე. თურმე ჩემი კარის მეზობელი ყოფილა. ჩვენ დიდი ყურადღებითა და ყოველმხრივ განვიხილეთ სოციოლოგიური საკითხი იმის შესახებ, თუ იზოლირებული ბინები ადამიანებს როგორ აშორებენ ერთმანეთს. შუა საუბარში ვიყავით, როცა კიდევ ერთი ჩვენი კოლეგა მოვარდა კოლოფებითა და პარკუჭებით შეჭრელებული. მიუხედავად იმისა, რომ ყინვადა, ოფლი წურწურით სდიოდა. გადაწყვიტა ძაღლს მოფერებოდა და თავზე ხელის გადასმა დაუპირა. ასეთმა „ძმაბიჭურმა“ მოპყრობამ იგი სასტიკად გაამძვინვარა და არათუ ხელი, კინაღამ იყო თავიც წააჭამა. ახლადმოსული გველნაკბენივით განზე გახტა, განცვიფრებულმა და გაოგნებულმა გარშემო მზერა დაიწყო. მერე კი განრისხებით შეუტია: „ამ უზრდელს დამიხედეთ! საკუთარ სახლში არ მიშვებს!“ მძიმე ქლოშინით ისიც ჩვენ შემოგვიერთდა. მეცინებოდა, ეს ყველაფერი ჩემი გულისათვის ხდება-მეთქი. გამოირკვა, რომ თურმე ნუ იტყვი, ეს შესანიშნავი ამხანაგიც ჩვენი მეზობელი ყოფილა, მხოლოდ სადარბაზოში ერთი სართულით ქვევით ცხოვრობს.

ცოტა და, საზოგადოებრიობა შეივსო კიდევ რამდენიმე ახლადმოსულით. დათოვლილი ხეების ქვეშ გაიმართა საინტერესო მეზობლური გულთბილი საუბარი.

მოვიგონეთ ის დრო, როცა თბილისის სახლებს ფართო აივნები ერტყათ და მეზობლები ერთიან ოჯახად ცხოვრობდნენ, როცა ასე გულწრფელად მოქმედებდა ანდაზა: „კაი მეზობელი კაი ნათესავს მირჩევნიაო“. ვიცოდით, ვის რა უჭირდა, ულხინდა, ვინ იყო ავად, ვის ნათლობა ან ქორწილი ჰქონდა და, როგორც წესი, ახალ წელსაც ერთად ვხვდებოდით. და... მოულოდნელად იდეა დაგვებადა. რატომ არ შეიძლება დღესაც, ახლა, ამ წუთს, ერთად შევხვდეთ ახალ წელს? მით უმეტეს, რომ ყველაფერი ხელთ გვქონდა, რაც უნდა გვეჭამა და დაგვლია... აქ გაისმა საათის ზარის რეკვა, რამაც გვაუწყა ახალი წლის მობრძანება. ერთსულოვნად ავწყეთ სადღეგრძელო, ერთმანეთს ვუსურვეთ, რომ ამ წელიწადს არ გამოგვლეოდა მხიარულება და ლხენა, დღეობები და ნათლობები, ქორწილები და ნიშნობები.

სულ მალე ჩვენ შემოგვიერთდნენ ოჯახის წევრებიც. ამ მაგალითის მიბაძეს მეზობელ სადარბაზოებშიც. ვიღაცამ მაგნიტოფონი ჩამოიტანა, გიტარა, დოლი და გარმონიც გაჩნდა. გაჩაღდა საახალწლო ეზოს მეჯლისი. მხიარულებასა და მუსიკას ბოლო არ უჩანდა. ჩვენი საერთო ნაცნობი მურია კარგ ხასიათზე დამდგარიყო და ფეხებში გვედებოდა, სულ ლამობდა ხელი აელოკა. გამხიარულებული მეჯლისის მონაწილენი კი მას დრუნჩში კოცნიდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ შორის მეც ვიყავი.

### ეზოს მეჯლისი
კარგი მეზობელი
თვალის ჩინიაო



ა. კანდელაკის ნახატი.



## მოდის ფეხბედნიერი

**მ**ხიარულად, გულღიად ეგებებიან ახალ, 1975 წელს ჩვენი დედაქალაქის მშრომელები, დიდი თუ პატარა. ოჯახებში ინთება ნაძვისხეები, დაიწყო მოსწავლეთა არდადეგებიც. ორმაგი სიხარული აქვთ თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს (ზემოთ); საქართველოს ტელევიზიამ საახალწლოდ ახალი საინტერესო პროგრამა მოამზადა. შუა სურათზე თქვენ ხედავთ ამ პროგრამის ერთ-ერთ ნომერს; ქვემოთ — ალბათ საახალწლო კერძებს თუ ამზადებენ ეს ნორჩი მზარეულები; ამ წყვილს კი (სურათზე მარცხნივ ქვემოთ) პატარებისათვის გული არ დაუწყვეტიათ და სათითაოდ, საკუთარი ნაძვისხე შეუძენიათ.

ფეხბედნიერი იყოს ახალი წელიწადი ჩვენს მიწაზე!







გ. გოგოხიას და ს. კილაძის ფოტო.

განმარტავს მეცნიერი
□
## სად იწყება ახალი წელი?

ახალი წლის დაწყებას ყველგან სიხარულით ეგებებიან. მაგრამ ეს სასიხარულო შუაღამე, ყველგან ერთდროულად როდი დგება. მაგალითად, ჩვენგან აღმოსავლეთით არსებულ ქვეყნებში უფრო ადრე იწყება ახალი წელი, ვიდრე ჩვენში.

რატომ ხდება ასე? სად იწყება ყველაზე უფრო ადრე ახალი წელი?

როგორც ცნობილია, დროის აღრიცხვის მსოფლიო სისტემის მიხედვით დედამიწის ზედაპირი დაყოფილია 24 ზოლად, რომლებიც შემოსაზღვრულია დედამიწის მერიდიანებით. ეს ზოლები დანომრილია ნულიდან 23-მდე. ნულოვანი ზოლის შუაზე გადის გრინვიჩის მერიდიანი. ამ ზოლის აღმოსავლეთით არის პირველი ზოლი, შემდეგ მეორე ზოლი, რომელშიც არის მოსკოვი, ლენინგრადი, უკრაინა. საქართველო მესამე ზოლშია. უფრო აღმოსავლეთით არის მე-4, მე-5 და ასე შემდეგ.

აზიის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი ჩუკოტკის ნახევარკუნძული იმყოფება მე-12 ზოლში, რომლის შუაზე გამავალი მერიდიანის გრძედი უდრის 180°-ს. ამავე ზოლშია ახალი ზელანდია და ზოგიერთი სხვა კუნძული. ეს მე-12 ზოლი მიჩნეულია შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილად და მისგან აღმოსავლეთით არსებული მე-13, მე-14 და ასე შემდეგ ზოლებშია ამერიკული ქვეყნები.

საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე დაახლოებით 180 გრადუსთან მერიდიანს მიჰყვება თარიღის გამოცვლის ხაზი (დემარკაციული ხაზი), რომელიც უნდა მივიჩნიოთ საზღვრად შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ახალი წელი და, საერთოდ, ყოველი ახალი თარიღი იწყება შუაღამისას, რომელიც ერთდროულად მთელ მერიდიანზეა ჩრდილო პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე. შუაღამე მოძრაობს დედამიწაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და მას მოჰყვება ახალი თარიღი. როცა შუაღამე თარიღის გამოცვლის ხაზზეა, მაშინ მთელ დედამიწაზე — მსოფლიოში ყველგან ერთი თარიღია, მაგალითად, 31 დეკემბერი. აქ განსხვავება ის არის, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში მე-12 ზოლში უკვე მთავრდება ეს თარიღი, დასავლეთის ქვეყნებში (მე-13 ზოლში) კი მხოლოდ ახალდაწყებულია 31 დეკემბერი. როგორც კი შუაღამე გადაივლის მე-12 ზოლს, მაშინვე ამ ზოლში გაჩნდება ახალი თარიღი—1 იანვარი, ანუ ახალი წელი, ერთი საათის შემდეგ მე-11 ზოლში დაიწყება ახალი წელი, 2 საათის შემდეგ —მე-10 ზოლში და ასე შემდეგ, 9 საათის შემდეგ კი საქართველოშია ახალი წელი. ყველაზე უფრო გვიან 24 საათის დაგვიანებით ახალი წელი იწყება მე-13 ზოლში, მაგალითად, ალიასკაზე.

ა. ფურცხვანიძე,
დოცენტი.

## სპორტული ამბები

საბჭოთა ტანმოვარჯიშე ლიუდმილა ტურიშჩევა საფრანგეთის სპორტის აკადემიის მიერ დასახელებულია 1974 წლის ნოემბრის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად და მას სავანგებო გრან-პრი გადაეცემა.

აღსანიშნავია, რომ ლ. ტურიშჩევას ამ საპატიო ტიტულის მოპოვებაში მეტოქეობას „უწევდა“ თვით „რინგის მეფე“ კასიუს კლეი (მოჰამედ ალი).

საბჭოთა სპორტსმენებიდან გრან-პრის ადრე ფლობდა (1971 წელს) მხოლოდ ძალოსანი ვიქტორ ალექსეევი.

**გაზეთ** „სოვეტსკი პატრიოტის“ მიერ ჩატარებულმა მკითხველთა საახალწლო კონკურსმა წლის № 1 სპორტსმენად დაასახელა მსოფლიოს ჩემპიონი მოტორბოლში — ლენინგრადელი გენადი მოისეევი.

სამხედრო-ტექნიკური სახეობების სპორტის ოსტატთა ათეულში დასახელებულია აგრეთვე აბსოლუტური ჩემპიონი სათხილამურო სპორტში, თბილისელი ნიკოლოზ ჟუმაევი.

შაში. ამსტერდამში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. ვილნიუსელმა ედვარდ ბუქინსკიმ ფინიშზე მეორე-მესამე ადგილი გაიყო ჰოლანდიელ იანსენთან (შვიდ-შვიდი ქულა). უმაღლესი ტიტული ყველასათვის მოულოდნელად მოიპოვა 16 წლის რობილარმა (ჰაიტი) 7,5 ქულა.

### „სპორტლოტოს“ ტირაჟი

30 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო 2“-ის 36-ე ტირაჟი, რომლის შედეგები ასეთია:

„სპორტლოტო“: 12 — (წყალსამოტორო სპორტი), 15 (წყალბურთი), 49 (შაში), 9 (ჭიდაობა), 21 (ცხენოსნობა), 28 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო-2“: 18 (რიკტაფელა), 26 (მოტობურთი), 33 (მშვილდოსნობა), 49 (შაში), 9 (ჭიდაობა), 21 (ცხენოსნობა).

(საკდესი).




### ი. ს. ბერიტაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1975 წლის 2 და 3 იანვარს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (ლენინის ქუჩა, 63), 4 იანვარს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დღის 1 საათზე. დაკრძალვა 4 იანვარს უნივერსიტეტის ეზოში დღის 3 საათზე.

### ტელევიზია

**1 იანვარი**

პირველი პროგრამით

10.05 — „გილოცავთ ახალ წელს!, 10.45 — ფერადი ტელევიზია — „ჩვენი მისამართი — საბჭოთა კავშირი“, 11.45 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მულტიპლიკაციური ფილმი — „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, 12.25 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა კუბის რევოლუციის მე-16 წლისთავის გამო (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „ზღაპრულ ტყეში“ და „როგორ მოვიდა ზღაპარი“, 14.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ქართული მხატვრული ფილმი „ვერის უბნის მელოდიები“, 15.50 — ქართული სატელევიზიო ფილმი — „ძველი თბილისის მოტივები“, 16. 10 — მოსწავლეთათვის — „ცისარტყელა“, 17.20 — ფერადი ტელევიზია „საბჭოთა კავშირი საზღვარგარეთელი სტუმრების თვალით“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.35 — ქართული სატელევიზიო ფილმები: „თეთრი ბაკურიანი“ და „სვანეთი“, 17.55 — საესტრადო კონცერტი, 18.30 — ფერადი ტელევიზია —მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა — „აბა დამაცადე“! 19.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.15 — კონცერტი „გმირების გადაძახილი“, 20.05 — სატელევიზიო ფილმი „დიდება შრომას“. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 20.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — საახალწლო გასართობი პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური შეხვედრები“,

მეორე პროგრამით

10.05 — მუსიკალური ფილმი-სპექტაკლი „წვეულება იტალიელებთან ერთად“. 19.10 — კინოფილმი — „თუშეთის ფერები“, 19. 30 — „კინოაფიშა“, 20.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სადღეგრძელო“, 20.35 — მხატვრული ფილმი „გაუღიმე მეზობელს“,

**2 იანვარი**

პირველი პროგრამით

10. 05 — ფერადი ტელევიზია —დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული სატელევიზიო ფილმი „დილა მშვიდობისა“! 11.00 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი“ (I სერია), 12.05 — ფერადი ტელევიზია — ტელესტუდია „ორლიონოკის“ საკონცერტო დარბაზი, 12.55 — ბავშვებისათვის —„მხიარული კინოპროგრამა“, 17.25 — მოსწავლეთათვის „ცისარტყელა“ (გამეორებით), 18.35 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მრავალსერიიანი მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოქარი ზურმუხტების ქალაქიდან“ (I სერია), 19.00 — „ღირსსახსოვარი — 1974“, 19.35 — „კინოლექტორიუმი“, 20.55 — საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“, 21.20 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22. 30 — ქართული მხატვრული ფილმი —„გზა მშვიდობისა, ჯაყო!“.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის ფილმი — „ზღაპარი „ვარსკვლავბიჭუნა“, 18.30 — სატელევიზიო ფილმი „საბავშვო გუნდის კონცერტი“, 20.00 — მხატვრული ფილმი „დონ-კიხოტი“, დასასრულ — კონცერტი.

## ჩვენი საახალწლო აფიშა

### რადიო

**2 იანვარი**

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45 — „მოგითხრობთ კომუნისტებზე“, 12.15 — ქართველ კომპოზიტორთა პიესები საფორტეპიანო ტრიოსათვის, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ო. გორდელი. მუსიკა პიესისათვის „სასტუმროს დიასახლისი“. 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხალხთა მუსიკა, 17.15 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 17.35 — მოსწავლეთათვის. რადიოკომპოზიცია „ლაპარაკობს ნაძვი“, 18.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ფ. კრეისლერი. სავიოლინო პიესები, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი სოციალისტური კოლექტივიზმი ცხოვრების ახალი წესის მთავარი პრინციპია“, 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „მიკროფონთან — მხატვრული კითხვის ოსტატები“, 21.40 — ა. ბალანჩივაძე. მეორე სიმფონია, 23.30 — საესტრადო კონცერტი.

### თეატრები

**2 იანვარი**

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რაიკომის მდივანი** (დღისით და საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ტაკიმასხარა** (დღისით), **ჭრილობა** (საღამოს), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მხიარული მელოდიები** (დღისით). **ჯარში მიდის დედისერთა** (საღამოს. პრემიერა).

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 3 იანვარს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხაზდივნისა — 99 66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, [illegible]

ჩვენი მისამართი და ტელეფონი

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03508 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14